მიგრაციის საკითხთა
სამთავრობო კომისია

საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი

თბილისი
2019 წ.

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

მიგრაციის საკითხთა
სამთავრობო კომისია

სახელმწიფო სერვისების
განვითარების სააგენტო

სარჩევი

შემოკლებები 4

ზოგადი ინფორმაცია ქვეყნის შესახებ 5

შესავალი 7

მიგრაციული ტენდენციები საქართველოში 8

სიტუაციის მიმოხილვა 11

ემიგრაცია 13

ემიგრაცია ევროკავშირში 15

საერთაშორისო დაცვა 20

არალეგალური მიგრაცია 22

ემიგრაცია რუსეთში 25

ემიგრაცია აშშ-ში 26

ემიგრაცია თურქეთში 27

ფულადი გზავნილები 28

დაბრუნება და რეინტეგრაცია 30

დაბრუნებითი მიგრაცია 30

რეინტეგრაცია 35

იმიგრაცია 37

ცირკულარული (მოკლევადიანი) იმიგრანტები 46

უმაღლესი განათლების მიღების მიზნით ჩამოსული იმიგრანტები 48

შრომითი იმიგრანტები 50

უცხოელი მეწარმეები 51

უძრავი ქონება 52

საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირები 54

არალეგალური იმიგრაცია 56

ინტეგრაცია 58

ოჯახის გაერთიანება 58

ზოგადი განათლება 59

პროფესიული განათლება 61

ჯანდაცვა და სოციალური დახმარება 62

ნატურალიზაცია 63

იმიგრაციის ეკონომიკური გავლენა 65

შიდა მიგრაცია 68

იძულებით გადაადგილებული პირები 68

ეკოლოგიური მიგრანტები 70

მიგრაცია სოფლიდან ქალაქში და ქალაქიდან სოფელში 71

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) 72

მიგრაციის მართვა 74

მიგრაციის პოლიტიკის ჩარჩო 74

სტრატეგიული დაგეგმვა 74

საზღვრის ინტეგრირებული მართვა 75

არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა და დოკუმენტების უსაფრთხოება 75

დაბრუნება და რეადმისია 76

დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია და უცხოელთა ინტეგრაცია 76

საერთაშორისო დაცვის სისტემა 77

ლეგალური მიგრაცია 77

მიგრაციის სტატისტიკა და მონაცემების მართვა 78

მიგრაციის რისკების ანალიზის სისტემა 78

საკანონმდებლო ჩარჩო 79

ინსტიტუციური ჩარჩო 80

შემოკლებები[1]

აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
საქსტატი	სტატისტიკის ეროვნული სამსახური
შსს	შინაგან საქმეთა სამინისტრო
სსგს	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
საჯარო რეესტრი	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
მსსკ	მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია
მეას	მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემა
ტრეფიკინგის საბჭო	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო
შრომის სამინისტრო	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
განათლების სამინისტრო	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
ევროსტატი	ევროკავშირის სტატისტიკური ოფისი

AA	ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება
AVRR	ნებაყოფლობითი დაბრუნების და რეინტეგრაციის [პროგრამა]
DCFTA	საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება
ENIGMMA 2	პროექტი - „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში 2“
EMN	მიგრაციის ევროპული ქსელი /ევროკომისია/
HDI	ადამიანის განვითარების ინდექსი
ICMPD	მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი
IOM	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
PMCG	პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფი
UN DESA	გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNHCR	გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი

[1] მსსკ-ს ვებგვერდზე ასევე იხილეთ: მიგრაციასთან დაკავშირებული შემოკლებების განმარტებები და მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი. http://migration.commission.ge/index.php?article_id=129&clang=0 ნანახია: 26.07.2019

ზოგადი ინფორმაცია ქვეყნის შესახებ

საქართველო: ძირითადი ფაქტები

ფართობი	**69,700 კმ²**
სახმელეთო საზღვრები	**1,839 კმ**
მოსაზღვრე ქვეყნები	სომხეთი (224 კმ) აზერბაიჯანი (446 კმ) თურქეთი (275 კმ) რუსეთი (894 კმ)
სანაპირო ზოლი	**315 კმ**
ეროვნული ვალუტა	**ქართული ლარი (GEL)**

მშპ (მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი)	**16.2** (2018 წლის წინასწარი მონაცემები)
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში)	**4,345.5 აშშ დოლარი** (2018 წლის წინასწარი მონაცემები)
მოსახლეობა	**3,723,464** (2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)
ეთნიკური შემადგენლობა (2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით)	ქართველები - 86.8% აზერბაიჯანელები - 6.3% სომხები - 4.5% რუსები - 0.7% სხვა - 1.7%
დედაქალაქი	**თბილისი**
დედაქალაქის მოსახლეობა	1,171,079 (2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)
სახელმწიფო ენები	**ქართული, აფხაზური** (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე)
ბუნებრივი მატება (ათას კაცზე)	**1,2** (2018 წელი)
პრეზიდენტი	სალომე ზურაბიშვილი
პრემიერ-მინისტრი	გიორგი გახარია
პარლამენტის თავმჯდომარე	არჩილ თალაკვაძე

შესავალი

საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ფარგლებში შემუშავებული რიგით მესამე ე.წ. საშუალო ფორმატის პროფილია და ეფუძნება მიგრაციის პროფილის შემუშავების უკვე არსებულ გამოცდილებას.

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წევრი უწყებების[2] მიერ მოწოდებული მონაცემებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, რამაც შესაძლებელი გახადა ქვეყანაში მიმდინარე მიგრაციული პროცესების ყოვლისმომცველი სურათის აღწერა[3].

ოფიციალური მონაცემების და სტატისტიკის თავმოყრისა და ანალიზის მეშვეობით, პროფილის მთავარი დანიშნულებაა, ყველა სახის მკითხველს, მისთვის გასაგები ფორმით, მიაწოდოს განახლებული ინფორმაცია ძირითადი მიგრაციული ტენდენციების შესახებ და ამით ხელი შეუწყოს სფეროთი დაინტერესებული მკვლევარების და აკადემიური წრეების საქმიანობას, ასევე გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიგრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.

2019 წლის მიგრაციის პროფილში აღწერილია საერთაშორისო და შიდა მიგრაციასთან დაკავშირებული 2015-2018 წლების სტატისტიკური მონაცემები. 2017 წლის პროფილისგან განსხვავებით, 2019 წლის გამოცემაში მონაცემები უფრო დეტალური გახდა და აქცენტი მათ ვიზუალიზაციაზე გაკეთდა, რაც უკანასკნელ პერიოდში გაზრდილ პროფილის მრავალფეროვან მკითხველს უფრო მეტად გაუმარტივებს მონაცემების აღქმას და ანალიზისა და ინტერპრეტაციის შესაძლებლობას დაუტოვებს. მიგრაციის მართვის თავი, რომელიც აღწერს ქვეყნის მიგრაციის პოლიტიკის საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ჩარჩოს, მოცემული დოკუმენტის ყველაზე ვრცელი ტექსტუალური ნაწილია და იგი მკითხველს უზრუნველყოფს პროფილში წარმოდგენილი მონაცემების სწორი ინტერპრეტაციისთვის საჭირო ინფორმაციით. ამავდროულად, პროფილის შემაჯამებელი ნაწილი საშუალებას აძლევს მკითხველს, მონაცემების დეტალური შესწავლის გარეშე, მოკლე დროში გაეცნოს ქვეყნის ძირითად მიგრაციულ ტენდენციებს.

2017 წლის პროფილის მსგავსად, წინამდებარე დოკუმენტი უმთავრესად საქსტატის, ევროსტატის, გაეროს, საქართველოსა და უცხო ქვეყნების სახელმწიფო უწყებების ადმინისტრაციულ მონაცემებს და ცალკეული საჯარო დაწესებულებების დაკვეთით ჩატარებული კვლევების შედეგებს ეყრდნობა. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის პროფილში პირველად იქნა გამოყენებული მიგრაციის *მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის* მეშვეობით დამუშავებული მონაცემები, რომელიც იმიგრაციის ნაწილშია წარმოდგენილი.

პროფილის შემუშავებისას კომისია დაეყრდნო მიგრაციის მართვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართული და სოლიდური ცოდნის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლების გამოცდილებასა და რეკომენდაციებს. ამგვარად, ვიმედოვნებთ პროფილის შემუშავების პროცესის უფრო დახვეწას და მის სანდო რესურსად წარმოდგენას აკადემიური კვლევის, განათლების, პოლიტიკის შემუშავებისა თუ მართვის სფეროებით დაინტერესებული ყველა მხარისათვის.

---

[2] <u>მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წევრი უწყებები:</u> იუსტიციის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

[3] პროფილი მომზადდა მსსკ-ს სამდივნოს ექსპერტების მიერ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების - „მსსკ-ს მდგრადი და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა“ და „ENIGMMA 2“-ის ფარგლებში.

მიგრაციული ტენდენციები საქართველოში
მოკლე შეჯამება

ემიგრაცია

- 2018 წელს გაზრდილია საქართველოდან წასულ ემიგრანტთა რაოდენობა. ყველაზე მეტი ემიგრანტი საქართველოდან კვლავ რუსეთში იმყოფება;
- ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ მზარდია საქართველოს მოქალაქეთა მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა. 2017-2018 წლებში საქართველოს მოქალაქეებმა ყველაზე მეტი ვიზიტი გერმანიაში, იტალიაში და საბერძნეთში განახორციელეს;
- 2015 წლიდან ზრდადია ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი ბინადრობის ნებართვის მფლობელ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა. 2017 წელთან შედარებით მათი რაოდენობა 2018 წელს 8.5%-ით გაიზარდა. ბინადრობის ნებართვის მქონე საქართველოს მოქალაქეების 60% საბერძნეთში, იტალიასა და გერმანიაში იმყოფება. ისინი ძირითადად, შრომითი (ანაზღაურებადი) საქმიანობის და ოჯახის გაერთიანების საფუძველზე გაცემულ ბინადრობის ნებართვებს ფლობენ;
- ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ საქართველოს მოქალაქეთა მიერ ამ ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნის მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა. საქართველოს მოქალაქეების უმეტესობა თავშესაფარს საფრანგეთსა და გერმანიაში ითხოვდა;
- ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნაზე საქართველოს მოქალაქეთა განცხადებების აბსოლუტური უმრავლესობა (დაახლოებით 95%) შესაბამისი სამსახურების მიერ უარყოფილია იმ მიზეზით, რომ თავშესაფრის მოთხოვნა უსაფუძვლოდაა მიჩნეული;
- ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდგომ, მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს მოქალაქეებისთვის ამ ქვეყნებში შესვლაზე უარის თქმის მაჩვენებელი. ამასთან, საჰაერო საზღვარზე მიღებული უარების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აჭარბებს სახმელეთო და საზღვაო საზღვრებზე მიღებულ უარებს. ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში შესვლაზე უარის ყველაზე ხშირი მიზეზი ქვეყანაში ყოფნის მიზნის და გარემოებების დაუსაბუთებლობაა;
- 2018 წელს ევროკავშირის ქვეყნებში გამოვლენილი არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. ყველაზე მეტი არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქე გერმანიაში, საფრანგეთსა და საბერძნეთში გამოვლინდა;
- ბოლო წლებში საქართველოდან რუსეთში ჩასულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა კლებულობს, ხოლო საქართველოს იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც რუსეთი დატოვეს იზრდება;
- საქართველოს მოქალაქეების მიერ აშშ-ში ლეგალური ემიგრაციის მაჩვენებლები (მუდმივი ბინადრობის ნებართვები და მოქალაქეობა) მეტ-ნაკლებად სტაბილურია. მუდმივი ბინადრობის ნებართვების უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეებზე აშშ-ს მოქალაქესთან უშუალო ნათესაური კავშირის და ე.წ. „მწვანე ბარათის“ გათამაშების საფუძველზე გაიცა;
- საქართველოს მოქალაქეების მიერ თურქეთში ბინადრობის ნებართვის მიღების მაჩვენებელი ზრდადია. საქართველოს მოქალაქეები თურქეთში ძირითადად შრომის, ოჯახის გაერთიანების და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე იმყოფებიან;

- ბოლო ოთხ წელში უცხოეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობა 32%-ით გაიზარდა. 2018 წელს კი ფულადი გზავნილების ოდენობამ გადააჭარბა ამავე წელს განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. ფულადი გზავნილების ყველაზე დიდი რაოდენობა საქართველოში კვლავ რუსეთიდან შემოდის. თუმცა ბოლო წლებში მზარდია ისრაელიდან და ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან შემოსული ფულადი გზავნილების ოდენობაც.

დაბრუნება და რეინტეგრაცია

- ევროკავშირის ქვეყნებიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა 2018 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა და მოსალოდნელია, რომ შემდეგ წლებშიც ზრდის ტენდენცია შენარჩუნდება. დაბრუნების ძირითადი ქვეყნებია გერმანია, საბერძნეთი და საფრანგეთი;

- ბოლო ორი წლის განმავლობაში მკვეთრად მოიმატა IOM-ის ნებაყოფლობითი დაბრუნების და რეინტეგრაციის პროგრამის (AVRR) ფარგლებში დაბრუნებულ მიგრანტთა რაოდენობამ. AVRR-ის პროგრამით დაბრუნებულთა უმრავლესობა საბერძნეთიდან და გერმანიიდანაა;

- დაბრუნების ზრდადი ტენდენციის გათვალისწინებით, ყოველწლიურად იზრდება AVRR-ის და სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა. რაც მომავალ წლებში, სავარაუდოდ, გამოიწვევს სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამის ბიუჯეტის გაზრდას.

იმიგრაცია

- მეას-ის მეშვეობით გაკეთებულ მონაცემთა ანალიზისას იმიგრანტთა ნაკადებში გამოიკვეთა იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ჯგუფები, რომლებიც საქართველოში მოკლევადიანი ვიზიტით ჩამოდიან და რომელთა მიგრაციაც ცირკულარულობით ხასიათდება. ისინი ყოველწლიურად ბრუნდებიან საქართველოში და წლის განმავლობაში 1-დან 6 თვემდე ვადით რჩებიან. მათი უმრავლესობა საქართველოს მეზობელი ქვეყნების მოქალაქეა და ისინი, ძირითადად, კალენდარული წლის განმავლობაში 1-დან 2 თვემდე ვადით იმყოფებიან ქვეყანაში;

- გაცემული და აქტიური ბინადრობის ნებართვების (მოწმობების) სტატისტიკა აჩვენებს, რომ საქართველოში იმიგრაცია მზარდია. უცხოელებზე, ძირითადად, დროებითი ბინადრობის ნებართვები გაიცემა. მუდმივი ბინადრობის ნებართვას საქართველოში უმეტესწილად მეზობელი ქვეყნების მოქალაქეები იღებენ;

- იმიგრანტების ყველაზე დიდი ჯგუფი საქართველოში სწავლობს ან შრომით საქმიანობას ეწევა. 2017 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოელების მიერ საქართველოში უძრავი ქონების საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შემთხვევები და ასევე ამ საფუძვლით მიღებული მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვების რაოდენობა. მოკლევადიან ბინადრობის ნებართვებს, ძირითადად, ირანის მოქალაქეები იღებენ;

- განათლების მიღების მიზნით ჩამოსული უცხოელების უმრავლესობა საქართველოში ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამაზე სწავლობს. მათი დიდი ნაწილი ინდოეთის და აზერბაიჯანის მოქალაქეები არიან;

- საქართველოში დასაქმებული იმიგრანტების დიდი ნაწილი თურქეთის, ინდოეთის, ჩინეთის და ირანის მოქალაქეები არიან. უცხოელთა უმრავლესობა თბილისში მშენებლობასა და საბითუმო და საცალო ვაჭრობის სფეროშია დასაქმებული;

- 2015 წელთან შედარებით, შემცირებულია და ბოლო სამი წლის განმავლობაში სტაბილურია საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ცვალებადია თავშესაფრის მაძიებელთა ძირითადი წარმოშობის ქვეყნები და მზარდია თავშესაფრის მოთხოვნაზე უარყოფითი გადაწყვეტილებების წილი წლიურად მიღებული გადაწყვეტილებების საერთო რაოდენობაში;

- 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, გაორმაგდა უცხოელებისთვის ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმის შემთხვევები. უარების ყველაზე დიდი წილი ირანის (20%) და ინდოეთის (14%) მოქალაქეებზე მოდის;

- უცხოელთა მიერ საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონების (ძირითადად, ბინების) რაოდენობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შემთხვევები შემცირდა. საქართველოში უცხოელების მიერ საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონების 40% რუსეთის მოქალაქეებზე მოდის;
- უცხოელთა მიერ უძრავი ქონების საკუთრების უფლებით რეგისტრაციის დინამიკა შეესაბამება უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი ქონებისა და მიწის გადასახადების დინამიკას;
- მზარდია უცხოელთა მიერ დაფუძნებული სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა. ასეთი სუბიექტების უმრავლესობას ყველა დამფუძნებელი უცხოელი ჰყავს, რომელთაგან ნახევარზე მეტი ირანის, თურქეთის და რუსეთის მოქალაქეები არიან;
- მზარდია ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობაში უცხოელთა მიერ დაფუძნებული კომპანიების მიერ შეტანილი წვლილი, ისევე როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკურ პირთა და უცხოელთა მიერ დაფუძნებული სუბიექტების მიერ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები;
- მზარდია უცხო ქვეყნის მოქალაქე სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა. საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეების უმრავლესობა (62%) საჯარო სკოლაშია ჩარიცხული. რაც შეეხება პროფესიულ განათლებას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მხოლოდ მცირე ნაწილი რეგისტრირდება. იგივე მდგომარეობაა ჯანდაცვის და სოციალური დახმარების პროგრამებზეც.

შიდა მიგრაცია

- ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი ნაწილი მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლში ცხოვრობს, ხოლო აფხაზეთიდან დევნილთა უმრავლესობა თბილისსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონშია განსახლებული;
- ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ყველაზე მეტი ეკომიგრანტი 2017 წელს დარეგისტრირდა. ამასთან, ყოველწლიურად განსახლებული ეკომიგრანტების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება იმავე წელს დარეგისტრირებულთა რაოდენობას. ეკომიგრანტთა უმეტესობა აჭარაში, გურიაში, იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთშია რეგისტრირებული. ხოლო ყველაზე მეტი ეკომიგრანტი აჭარაში, ქვემო ქართლში, კახეთსა და გურიაში განსახლდა;
- საქართველოში სასოფლო ტიპის დასახლებებში მოსახლეობა ყოველწლიურად მცირდება, რაც ზოგადად ქალაქი/სოფლის სტრუქტურაზეც აისახება. ბოლო ოთხი წლის მონაცემებით, ქალაქის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 57.7%-დან 58.7%-მდე გაიზარდა. საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, მზარდია თბილისის და აჭარის ა/რ-ის მოსახლეობა.

ადამიანით ვაჭრობა

- ბოლო წლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სტატისტიკა რაოდენობრივი კუთხით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი და დაზარალებული პირები, ძირითადად, საქართველოს და უზბეკეთის მოქალაქეები არიან. ტრეფიკინგის დანაშაულის ყველაზე გავრცელებული ფორმა კი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ჩადენილი ტრეფიკინგია.

სიტუაციის მიმოხილვა

საქართველოში, ისევე როგორც ყველგან, ემიგრაციის ან იმიგრაციის გამომწვევი ფაქტორები კომპლექსურია და დაკავშირებულია როგორც ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ ცვლილებებთან, ისე ადამიანების ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებთან. საქართველოს უახლეს ისტორიაში იყო პერიოდი, როდესაც ემიგრაცია, ძირითადად, ქვეყანაში არსებული არასტაბილურობით და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარემოებებით (მაგ.: შეიარაღებული კონფლიქტებით) იყო გამოწვეული. თუმცა მოგვიანებით ემიგრაციული ნაკადების ზრდაში უფრო მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკურმა და სოციალურმა ფაქტორებმა ითამაშეს. ემიგრაციის სხვა ხელშემწყობ ფაქტორებს შორის არანაკლებ მნიშვნელოვანია უკვე ჩამოყალიბებული დიასპორული ქსელები და გაერთიანებები, რომელთაც ასევე შეუძლიათ, ხელი შეუწყონ მიგრაციას.

უკანასკნელ ათწლეულში ქვეყანაში გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა, პოლიტიკურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებასთან ერთად, ხელი შეუწყო იმიგრაციული ნაკადების ზრდასაც. თუმცა, ემიგრაციის მასშტაბები ამით მაინც არ შემცირებულა, რადგან ქართველი მიგრანტების ძირითადი დანიშნულების ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს ეკონომიკა შედარებით შეზღუდული დასაქმების შესაძლებლობებს, შრომის ანაზღაურებას, სოციალურ დახმარებასა თუ ცხოვრების ხარისხს სთავაზობს საქართველოს მოქალაქეებს.

ამ სიტუაციასთან გასამკლავებლად და მოსახლეობის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად საქართველოში გატარდა და ამჟამადაც მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც მიმართულია სამეწარმეო საქმიანობის გამარტივებისა და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნისაკენ. უკანასკნელი დეკადის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა სტაბილურად იზრდებოდა და მომავალ წლებშიც ზრდა არის ნავარაუდები. საქსტატის მონაცემების თანახმად, საქართველოს მშპ-მ 2018 წელს 16.2 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა, ხოლო მშპ-მ ერთ სულ მოსახლეზე 4,345.5 აშშ დოლარი შეადგინა[4].

ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ასევე, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა, რომელსაც ქვეყანაში მოქმედი შეღავათიანი საგარეო სავაჭრო რეჟიმები და ქვეყნის ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა უწყობს ხელს. ევროკავშირთან *ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება* (DCFTA) ძალაშია 2014 წლის სექტემბრიდან. აღსანიშნავია, რომ საქართველო გახდა პირველი ქვეყანა რეგიონში, რომელსაც დადებული აქვს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ჩინეთთან.

მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის რეიტინგში მე-6 ადგილი დაიკავა. „Fraser Institute“-ის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“ 2018 წლის ანგარიშით, საქართველოს მდგომარეობა წინა წელთან შედარებით 2 პოზიციით გაუმჯობესდა და მე-7 ადგილი დაიკავა 162 ქვეყანას შორის. „Heritage Foundation“-ის 2019 წლის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით, საქართველო მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის მე-16 პოზიციაზეა კვლავ „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით, ხოლო ევროპის 44 ქვეყანას შორის - მე-8 ადგილზე. 2019 წლის თებერვალში „Fitch“-მაც გააუმჯობესა საქართველოს საკრედიტო რეიტინგი და ქვეყანას მიანიჭა „BB“ სტატუსი სტაბილური პერსპექტივით.

დინამიკურად ვითარდება ტურიზმის სექტორიც. 2010 წლიდან 2018 წლამდე საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის ტემპი ერთ-ერთი მაღალი იყო მსოფლიოში. 2018 წელს საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების მთლიანმა რაოდენობამ 8.7 მილიონს გადააჭარბა. აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები და 3.2 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი სავალუტო შემოდინება დაფიქსირდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 19.1%-ით აღემატება. 2018 წელს ტურიზმის სფეროს წილი მთლიან შიდა პროდუქტში 7.6%-ს გაუტოლდა, აღნიშნული მაჩვენებელი 2017 წელს 6.8%-ს შეადგენდა.

[4] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp ნანახია: 26.07.2019

სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის სფეროს დაფინანსების მიხედვით, საქართველოს მსოფლიო რეიტინგში საკმაოდ კარგი პოზიცია უკავია. 2018 წელს ჯანდაცვის და სოციალური დახმარების სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულების წილი მშპ-ს 5.8%-ს შეადგენდა[5]. 2014 წელს, ჯანმრთელობის დაზღვევის რეფორმის ფარგლებში, დაინერგა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომელმაც უფრო ხელმისაწვდომი გახადა ჯანდაცვა მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისთვის.

UNDP-ის ადამიანის განვითარების ინდექსის (HDI) თანახმად, რომელიც შემდეგი ძირითადი განზომილების შეფასების საფუძველზე გამოითვლება: სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, სკოლაში სწავლების საშუალო და მოსალოდნელი ხანგრძლივობა და მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულზე[6], საქართველომ 2018 წლის ანგარიშში[7] 189 ქვეყანას შორის 70-ე ადგილი დაიკავა და მიეკუთვნება ადამიანის განვითარების მაღალი ინდექსის მქონე ქვეყნების ჯგუფს.

საქსტატის მონაცემებით[8], 2018 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წელთან შედარებით 1.2%-ით შემცირდა და 12.7% შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ცხრა წლის განმავლობაში უმუშევრობის დონის შემცირების ტენდენცია ფიქსირდება და უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ამ მაჩვენებელმა 2018 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია. ამასთან, 2018 წელს ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის 63.9% შეადგინა. 2017 წელთან შედარებით შემცირებულია როგორც მოსახლეობის აქტიურობის დონე, ისე დასაქმების დონე. ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე წინა წელთან შედარებით გაზრდილია 1.2%-ით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია 3.4%-ით.

[5] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp ნანახია: 26.07.2019

[6] http://hdr.undp.org/sites/default/files/2018_human_development_statistical_update.pdf ნანახია: 26.07.2019

[7] http://hdr.undp.org/sites/default/files/2018_human_development_statistical_update.pdf ნანახია: 26.07.2019

[8] https://www.geostat.ge/media/23681/dasaqmeba-da-umushevroba-cliuri-2018-%28geo%29.pdf ნანახია: 26.07.2019

ემიგრაცია

საქართველოდან ემიგრანტთა რაოდენობის შესახებ მონაცემთა რამდენიმე წყარო არსებობს. მოცემულ თავში წარმოდგენილი და გაანალიზებულია საქსტატის, UN DESA-ს და ემიგრანტთა ძირითადი დანიშნულების ქვეყნების ადმინისტრაციული მონაცემები. აღსანიშნავია, რომ სამივე მათგანი გამოთვლის სხვადასხვა მეთოდოლოგიას ეყრდნობა და მონაცემებში სხვაობაც ამითაა გამოწვეული.

ემიგრანტების ნაკადების დასადგენად საქსტატი იყენებს გაეროს მიერ რეკომენდებულ მეთოდოლოგიას, რომლის მიხედვითაც, **ემიგრანტად ითვლება ნებისმიერი პირი (მოქალაქეობრივი კუთვნილების მიუხედავად)**, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ 2 პირობას: 1. დატოვა საქართველო ბოლო 12 თვეში და სულ მცირე 183 დღე (შესაძლებელია ეს იყოს რამდენიმე გასვლის კუმულაციური ჯამი) იმყოფებოდა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე; 2. საქართველო იყო მისთვის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა, ე.ი. მას ქვეყნიდან გასვლამდე, წინა 12 თვეში საქართველოში გატარებული ჰქონდა სულ მცირე 183 დღე (ხანგრძლივობის კუმულაციური ჯამი). შესაბამისად, ემიგრანტებში ხვდებიან როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები.



UN DESA ემიგრანტთა რაოდენობას, ძირითადად, ითვლის „საზღვარგარეთ დაბადებულთა“ კატეგორიაზე დაყრდნობით, შესაბამისად, ემიგრანტი მოსახლეობის რაოდენობას ასახავს[9].

საქსტატის მონაცემებით, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ყველაზე მეტი ემიგრანტი (მათ შორის, ყველაზე მეტი საქართველოს მოქალაქე ემიგრანტი) 2018 წელს დაფიქსირდა. რაც შეეხება სხვა ქვეყნის მოქალაქე ემიგრანტებს, მათი უმრავლესობა რუსეთის, თურქეთისა და სომხეთის მოქალაქეები არიან. 2015-2018 წლებში საქართველოდან წასული ემიგრანტების 57% მამაკაცია.

[9] https://www.un.org/en/development/desa/population/migration/data/estimates2/docs/MigrationStockDocumentation_2017.pdf ნანახია: 26.07.2019

ემიგრანტთა რაოდენობა მოქალაქეობის და წლების მიხედვით [10]



წყარო: საქსტატი

UN DESA-ს მონაცემებით, **საზღვარგარეთ დაბადებული მოსახლეობის კატეგორიის მიხედვით,** ყველაზე მეტი ემიგრანტი საქართველოდან რუსეთში იმყოფება. საქართველოში დაბადებული პირების საკმაოდ დიდი რაოდენობა გვხვდება ასევე საბერძნეთში, უკრაინაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

ემიგრანტები საქართველოდან ძირითადი ბინადრობის ქვეყნების მიხედვით, 2010-2017 წწ.



მონაცემთა ტიპები: საზღვარგარეთ დაბადებული მოსახლეობა (B), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) ლტოლვილები (R)[11].

წყარო: UN DESA 2017 წ.; აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით. საანგარიშო პერიოდის, კერძოდ, 2010, 2015 და 2017 წლების 1 ივლისის მონაცემები.

[10] „სხვა ქვეყნის მოქალაქეში" გაერთიანებული არიან სხვა ქვეყნების მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონეები და კატეგორია, რომელთა მოქალაქეობა არ არის მითითებული.

[11] 2015 წლის საქართველოს მიგრაციის პროფილი ეფუძნებოდა 2013 წლის მონაცემებს, რომელშიც ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში, მონაცემთა ტიპს წარმოადგენდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები (C). 2015 წლიდან ბაზა განახლდა და ეფუძნება მხოლოდ B და/ან R ტიპის მონაცემებს, რამაც გამოიწვია ის სხვაობა, რაც 2015 წლამდე მონაცემებში არსებობს 2015 წლის და შემდგომ პროფილებს შორის.

ემიგრაცია ევროკავშირში

საქართველოს მოქალაქეების მიერ *შენგენის* ვიზაზე შეტანილი განაცხადების საერთო რაოდენობა 2010 წლიდან 2017 წლამდე მზარდი იყო. თუმცა, ევროკავშირის/*შენგენის* ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ (28.03.2017), *შენგენის* ვიზებზე მოთხოვნა მკვეთრად შემცირდა.

შენგენის ვიზაზე განაცხადების საერთო რაოდენობა და გაცემული ვიზების რაოდენობა (მათ შორის, მრავალჯერადი ვიზების) წლების მიხედვით



წყარო: ევროკომისია[12]

ევროკავშირის/*შენგენის* ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ მზარდია საქართველოს მოქალაქეთა მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა[13]. 2017-2018 წლებში საქართველოს მოქალაქეების მიერ ყველაზე მეტი ვიზიტი გერმანიაში, იტალიასა და საბერძნეთში განხორციელდა.

[12] ვიზების სტატისტიკა; https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/borders-and-visas/visa-policy_en ნანახია: 26.07.2019

[13] მონაცემები დათვლილია იმ პირებზე, ვინც საჰაერო გზით პირდაპირი რეისით იმგზავრა ევროკავშირის/შენგენის ქვეყნების მიმართულებით ან მოქალაქის მგზავრობა დასრულდა ევროკავშირის/*შენგენის* წევრი ქვეყნიდან საქართველოში დაბრუნებით.

საქართველოს მოქალაქეთა მიერ ევროკავშირის/შენგენის მიმართულებით განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა (წლების და დანიშნულების ქვეყნების მიხედვით)

	2017[14]	2018	ჯამი
გერმანია	55,722	86,688	142,410
იტალია	27,003	56,476	83,479
საბერძნეთი	28,482	43,214	71,696
ესპანეთი	11,318	31,695	43,013
საფრანგეთი	9,795	31,585	41,380
პოლონეთი	15,304	29,483	44,787
უნგრეთი	9,196	15,551	24,747
ავსტრია	5,376	12,896	18,272
ჩეხეთი	3,467	12,377	15,844
კვიპროსი	7,513	11,347	18,860
ნიდერლანდები	5,407	8,901	14,308
ლიტვა	4,392	6,389	10,781
ბელგია	2,234	6,195	8,429
ლატვია	3,129	5,937	9,066
შვეიცარია	1,639	4,160	5,799
რუმინეთი	683	3,629	4,312
შვედეთი	1,454	2,898	4,352
პორტუგალია	845	2,001	2,846
ბულგარეთი	737	1,536	2,273
ესტონეთი	705	1,484	2,189
დანია	529	1,318	1,847
ხორვატია	282	835	1,117
მალტა	422	807	1,229
ფინეთი	233	681	914
ნორვეგია	253	616	869
სლოვაკეთი	94	584	678
ლუქსემბურგი	127	359	486
სლოვენია	126	299	425
ისლანდია	66	114	180
ლიხტენშტაინი	4	3	7
არ არის ნაჩვენები	3,961	52	4,013
სულ	200,498	380,110	580,608

წყარო: შსს

[14] მონაცემები დათვლილია ევროკავშირის/*შენგენის* ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის ამოქმედებიდან (28.03.2017).

საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის/*შენგენის* ქვეყნებში უვიზოდ მოგზაურობა შეუძლიათ მხოლოდ ბიომეტრიული ტიპის პასპორტით. საგულისხმოა, რომ სწორედ 2017-2018 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს მოქალაქის მოქმედი ბიომეტრიული პასპორტების რაოდენობა და, შესაბამისად, მკვეთრად შემცირდა არაბიომეტრიული ტიპის პასპორტები.

საქართველოს მოქალაქის პასპორტების (ბიომეტრიული და არაბიომეტრიული) რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: სსგს

2015 წლიდან ზრდადია ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეებზე გაცემული მოქმედი ბინადრობის ნებართვების რაოდენობა. 2017 წელთან შედარებით მათი რაოდენობა 2018 წელს 8.5%-ით გაიზარდა. საქართველოს მოქალაქეები ამ ქვეყნებში, ძირითადად, შრომითი (ანაზღაურებადი) საქმიანობის და ოჯახის გაერთიანების საფუძველზე გაცემულ ბინადრობის ნებართვებს ფლობენ.

ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში მოქმედი ბინადრობის ნებართვების მფლობელ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა წლების და საფუძვლების მიხედვით (ყოველი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

	2015	2016	2017	2018
ოჯახის გაერთიანება	25,673	26,828	27,287	28,203
საგანმანათლებლო	4,738	4,872	4,934	4,692
შრომითი (ანაზღაურებადი) საქმიანობა	18,457	18,504	18,128	19,436
საერთაშორისო დაცვა	2,713	2,973	3,068	3,261
სხვა	20,201	22,201	25,274	27,748
სულ	71,782	75,378	78,691	85,358

წყარო: ევროსტატი (ნანახია 14.08.19)

შენიშვნა: წარმოდგენილი რიცხვები არ მოიცავს დანიის მონაცემებს. ასევე, 2018 წლის მონაცემებში არ არის წარმოდგენილი ფინეთის სტატისტიკა, რადგან ამ თარიღისთვის ევროსტატის მიერ ჯერ არ იყო გამოქვეყნებული.

ასევე მზარდია საქართველოს მოქალაქეებზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში პირველად გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობაც. ზრდის ტენდენცია განსაკუთრებით შრომითი (ანაზღაურებადი) საქმიანობის და სხვა საფუძველზე გაცემულ ბინადრობის ნებართვებში შეიმჩნევა.

საქართველოს მოქალაქეებზე ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში პირველად გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობა წლების და საფუძვლების მიხედვით

	2015	2016	2017	2018
ოჯახის გაერთიანება	2,909	3,125	3,050	3,148
საგანმანათლებლო	1,487	1,835	1,746	1,550
შრომითი (ანაზღაურებადი) საქმიანობა	1,706	1,889	2,598	3,435
სხვა	1,893	2,413	3,021	4,002
სულ	7,995	9,262	10,415	12,135

წყარო: ევროსტატი (ნანახია 14.08.19)

შენიშვნა: 2018 წლის მონაცემებში არ არის გათვალისწინებული შვეიცარიის სტატისტიკა, რადგან ამ თარიღისთვის ევროსტატის მიერ ჯერ არ იყო გამოქვეყნებული.

ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი ბინადრობის ნებართვის მქონე საქართველოს მოქალაქეთა ნახევარზე მეტი (60%) იმყოფება საბერძნეთში, იტალიასა და გერმანიაში. შრომითი საქმიანობის საფუძველზე მიღებული ბინადრობის ნებართვის მფლობელთა უმეტესობა იტალიაში ცხოვრობს, ხოლო ოჯახის გაერთიანების მიზნით - საბერძნეთსა და გერმანიაში.



საერთაშორისო დაცვა

ევროკავშირის/*შენგენის* ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ საქართველოს მოქალაქეთა მიერ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნის მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა. საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა თავშესაფარს საფრანგეთსა და გერმანიაში ითხოვდა.

თავშესაფრის მაძიებელ საქართველოს მოქალაქეთა განცხადებები
წლების და ძირითადი დანიშნულების ქვეყნების მიხედვით

	2015	2016	2017	2018
საფრანგეთი	1,325	1,165	2,100	7,000
გერმანია	3,195	3,770	3,460	4,160
საბერძნეთი	385	690	1,105	1,460
იტალია	135	195	540	1,165
შვედეთი	890	720	1,100	1,155
ესპანეთი	55	70	350	1,020
შვეიცარია	405	465	670	875
ბელგია	300	240	470	695
ირლანდია	40	75	305	450
ავსტრია	405	350	455	455
დანია	100	75	75	410
კვიპროსი	15	20	85	395
ნიდერლანდები	265	595	505	375
ჩეხეთი	20	50	130	170
ლუქსემბურგი	25	65	140	140
სხვა	645	290	645	330
ევროკავშირი (28)	7,765	8,320	11,135	19,290
სულ	8,205	8,835	12,135	20,255

წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 20.06.2019)

2015-2018 წლებში საქართველოს მოქალაქეთა მიერ ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნაზე განცხადებების აბსოლუტური უმრავლესობა უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული და უარყოფითი გადაწყვეტილებები იქნა გამოტანილი. აღსანიშნავია, რომ თავშესაფრის განცხადებებზე აღიარების კოეფიციენტი ბოლო წლებში 3-5%-ის ფარგლებში მერყეობდა, რაც ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ევროკავშირში თავშესაფრის მაძიებელთა წარმოშობის ქვეყნებს შორის[15].

ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეთა თავშესაფრის მოთხოვნაზე გამოტანილი დადებითი და უარყოფითი გადაწყვეტილებების რაოდენობა წლების მიხედვით

	2015	2016	2017	2018
დადებითი გადაწყვეტილებები	380	450	485	695
უარყოფითი გადაწყვეტილებები	5,375	6,445	8,685	13,700

წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 20.06.2019)

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის/*შენგენის* 20 ქვეყნიდან, რომლებსაც გააჩნიათ უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნების სია, 15-მა სახელმწიფომ საქართველო წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნად[16] აღიარა და შესაბამის სიაში შეიყვანა. ხოლო გერმანიის მთავრობის მიერ 2018 წელს მიღებული ეს გადაწყვეტილება ბუნდესრატის საბოლოო დამტკიცებას ელოდება.

სახელმწიფოების ჩამონათვალი, რომლებმაც საქართველო წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნად აღიარეს

წყარო: მსსკ-ის ვებგვერდი[17]

მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგიას არ აქვს წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნების სია, იგი იყენებს ე.წ. „წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნების კონცეფციას“, რის საფუძველზეც ეს ქვეყანა საქართველოს ფაქტობრივად უსაფრთხო ქვეყნად მიიჩნევს.

[15] https://www.easo.europa.eu/asylum-trends-overview-2018 ნანახია: 26.07.2019

[16] ქვეყანა, რომელშიც არსებული სამართლებრივი მდგომარეობა, კანონმდებლობის დემოკრატიული სისტემის შესაბამისად აღსრულებას უზრუნველყოფს და ზოგადი პოლიტიკური ვითარება ცხადყოფს, რომ ადგილი არ აქვს საზოგადო და თანმიმდევრული ხასიათის დევნას, 2011/95/EU დირექტივის მე-9 მუხლში მოცემული განმარტების შესაბამისად, ისევე როგორც ადგილი არ აქვს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას და არ არსებობს საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტით გამოწვეული განურჩეველი ძალადობის საფრთხე. *EMN-ის მიგრაციის ტერმინთა ლექსიკონი გვ. 340. ვერსია 6.0* http://migration.commission.ge/files/interactive_glossary_6.0_final_version.pdf ნანახია: 26.07.2019

[17] ინფორმაცია წარმოდგენილია 2019 წლის სექტემბრის მდგომარეობით. http://migration.commission.ge/index.php?article_id=229&clang=0 ნანახია: 26.07.2019

არალეგალური მიგრაცია

ევროკავშირის/*შენგენის* ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდგომ, მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის ქვეყნებში შესვლაზე უარის თქმის მაჩვენებელი. საზღვარზე უარის თქმის შემთხვევების ყველაზე დიდი რაოდენობა 2018 წელს დაფიქსირდა და ამ კუთხით გერმანია, საბერძნეთი, საფრანგეთი, კვიპროსი და პოლონეთი ლიდერობენ. აღსანიშნავია, რომ ეს ის ქვეყნებია (კვიპროსის გარდა), სადაც საქართველოს მოქალაქეების ყველაზე დიდი რაოდენობა გაემგზავრა უვიზო მიმოსვლის ძალაში შესვლის შემდეგ (იხ. ცხრილი, გვ. 16).

საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის ქვეყნებში შესვლაზე უარების რაოდენობა წლების და იმ ძირითადი ქვეყნების მიხედვით, სადაც 2018 წელს ყველაზე მეტ საქართველოს მოქალაქეს ეთქვა უარი შესვლაზე

	2015	2016	2017	2018
საბერძნეთი	135	130	885	630
პოლონეთი	505	200	335	590
საფრანგეთი	25	105	235	460
გერმანია	25	40	130	440
კვიპროსი	5	15	145	425
ევროკავშირის სხვა ქვეყნები	680	405	1,220	1,495
სულ ევროკავშირი	1,375	895	2,950	4,040

წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 20.06.2019)[18]

2017 წლამდე საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა ევროკავშირის ქვეყნებში შესვლაზე უარს, ძირითადად, სახმელეთო საზღვარზე იღებდა. თუმცა უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ ეს სურათიც შეიცვალა და საჰაერო საზღვარზე მიღებული უარების რაოდენობამ 2017-2018 წლებში მნიშვნელოვნად გადააჭარბა სახმელეთო და საზღვაო საზღვარზე მიღებულ უარებს.

[18] ამ ნაწილში გამოყენებული ევროსტატის მონაცემები დამრგვალებულია 5-მდე, რის გამოც შესაძლოა იყოს აცდენა ქვეყნების მიხედვით ჩაშლილ მონაცემების ჯამსა და ჯამურ მაჩვენებლებს შორის.

საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის ქვეყნებში შესვლაზე უარების რაოდენობა წლების და საზღვრის ტიპის მიხედვით

	2015	2016	2017	2018
სახმელეთო საზღვარი	975	490	1,180	1,130
საჰაერო საზღვარი	380	385	1,735	3,310
საზღვაო საზღვარი	20	20	35	20
სულ	1,375	895	2,950	4,040

წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 20.06.2019)

2017-2018 წლებში საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის ქვეყნებში შესვლაზე უარი ყველაზე ხშირად ქვეყანაში ყოფნის მიზნის და გარემოებების დაუსაბუთებლობის გამო ეთქვათ. 2017 წლამდე კი უარის თქმის ყველაზე გავრცელებულ საფუძველს მოქმედი ვიზის ან ბინადრობის მოწმობის არქონა წარმოადგენდა.

საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის ქვეყანებში შესვლაზე უარების რაოდენობა მიზეზების და წლების მიხედვით

	2015	2016	2017	2018
მოქმედი ვიზის ან ბინადრობის მოწმობის არქონა	965	420	310	185
მოქმედი სამგზავრო დოკუმენტების არქონა	30	95	245	235
ყალბი ვიზა ან ბინადრობის მოწმობა	15	65	80	90
ყალბი სამგზავრო დოკუმენტი	15	10	10	15
ქვეყანაში ყოფნის მიზნის და გარემოებების დაუსაბუთებლობა	230	185	1,445	1,940
6-თვიან პერიოდში 3-თვიანი ყოფნის ვადის ამოწურვა	25	25	50	120
არასაკმარისი ფინანსური უზრუნველყოფა	45	30	210	835
აკრძალული აქვს ქვეყანაში შესვლა	50	45	570	985

წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 20.06.2019)

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გამოვლენილი არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა 2017 წლის ჩათვლით შედარებით სტაბილური იყო, თუმცა 2018 წელს ასეთი შემთხვევების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. ევროკავშირის ქვეყნებში გამოვლენილი არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა მამრობითი სქესისაა.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გამოვლენილი არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა წლების და სქესის მიხედვით

	2015	2016	2017	2018
	4,005	3,825	4,315	7,205
	1,380	1,355	1,385	1,910

წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 20.06.2019)

2018 წელს ყველაზე მეტი არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქე გერმანიაში, საფრანგეთსა და საბერძნეთში გამოვლინდა.

2018 წელს ევროკავშირის ქვეყნებში გამოვლენილი არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების პროცენტული განაწილება ძირითადი ქვეყნების მიხედვით

1.	გერმანია	39.7%	3,625
2.	საფრანგეთი	15.8%	1,440
3.	საბერძნეთი	9.9%	900
4.	პოლონეთი	7.6%	690
5.	ესპანეთი	5.4%	490
6.	იტალია	4.6%	415
7.	კვიპროსი	3.4%	310
8.	სხვა	13.6%	1,250
	სულ		9,120

წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 20.06.2019)

ემიგრაცია რუსეთში

რუსეთი საქართველოს მოქალაქეებისთვის ემიგრაციის ერთ-ერთი ძირითადი ქვეყანაა, თუმცა ბოლო წლებში საქართველოდან რუსეთში ჩასულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა კლებულობს, ხოლო საქართველოს იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც რუსეთი დატოვეს იზრდება. შედეგად, რუსეთში საქართველოს მოქალაქეთა მიგრაციული სალდო შემცირდა.

საქართველოს მოქალაქეების მიგრაციის დინამიკა რუსეთში



წყარო: **რუსეთის სტატისტიკის ფედერალური სამსახური**

ემიგრაცია აშშ-ში

2015-2017 წლებში საქართველოს მოქალაქეების მიერ აშშ-ში მუდმივი ბინადრობის ნებართვის და მოქალაქეობის მიღების მაჩვნებლები მეტ-ნაკლებად სტაბილურია.

საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს მუდმივი ბინადრობის ნებართვა და აშშ-ს მოქალაქეობა ნატურალიზაციის გზით წლების მიხედვით

	2015	2016	2017
მუდმივი ბინადრობის ნებართვა	1,410	1,635	1,629
მოქალაქეობა	1,027	988	889

წყარო: აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტი

2015-2017 წლებში აშშ-ში მუდმივი ბინადრობის ნებართვების უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეებზე აშშ-ს მოქალაქესთან უშუალო ნათესაური კავშირის და ე.წ. „მწვანე ბარათის“ გათამაშების საფუძველზე გაიცა.

	2015	2016	2017
ოჯახთან გაერთიანების საფუძველზე	111	142	132
დასაქმების საფუძველზე	63	82	89
აშშ-ს მოქალაქესთან უშუალო ნათესაური კავშირის საფუძველზე	734	900	824
„მწვანე ბარათის“ გათამაშების საფუძველზე	431	445	534
ლტოლვილის და თავშესაფრის მაძიებლების სტატუსით	68	64	48
სხვა	3	2	2

წყარო: აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტი

ემიგრაცია თურქეთში

2017 წელს საქართველოს მოქალაქეების რიცხვმა, რომლებიც თურქეთში ბინადრობის ნებართვას ფლობდნენ, 21,465 შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით (18,511) გაზრდილი მაჩვენებელია. საქართველოს მოქალაქეები თურქეთში, ძირითადად, შრომის, ოჯახის გაერთიანების და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე იმყოფებიან.

შრომისა და ოჯახის გაერთიანების საფუძველზე გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობა წლების მიხედვით

	2016	2017	2018
ოჯახის გაერთიანება	2,477	2,520	2,603
შრომა	8,014	7,287	8,076

წყარო: **თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო**

ფულადი გზავნილები

ბოლო ოთხ წელში უცხოეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობა 32%-ით გაიზარდა. ფულადი გზავნილების ყველაზე დიდი რაოდენობა საქართველოში კვლავ რუსეთიდან შემოდის. თუმცა, 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს რუსეთიდან საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა ოდნავ შემცირებულია. ბოლო წლებში სწრაფად გაიზარდა ისრაელიდან განხორციელებული ფულადი გზავნილების მოცულობა. ასევე გაზრდილია ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყნიდან განხორციელებული ფულადი გზავნილების მოცულობაც.

საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილები ძირითადი ქვეყნების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მსსკ-ის სამდივნოს დაკვეთით 2019 წელს ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ იმ ოჯახების თითქმის ნახევრისთვის (46%), ვისაც ერთი წევრი მაინც ჰყავს ან ჰყოლია საზღვარგარეთ, ეს წევრი საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში ოჯახის ძირითადი მარჩენალი იყო. ხოლო გამოკითხული ოჯახების ნახევარზე მეტი (57%) სისტემატურად იღებს/ იღებდა ფულს საზღვარგარეთ მყოფი ოჯახის წევრისგან[19].

[19] დათვლილია 449 გამოკითხული შინამეურნეობიდან.

საზღვარგარეთ მყოფი ოჯახის წევრის დამოკიდებულება ფულადი გზავნილებისადმი[20]

57% სისტემატურად უგზავნის ფულს ოჯახს
46% არის ოჯახის ძირითადი მარჩენალი
41% ფულს უგზავნის ოჯახს, მაგრამ არა ყოველდღიური საჭიროებებისთვის

25% არ უგზავნის ფულს ოჯახს, რადგან დანაზოგს აკეთებს ადგილზე
25% არ უგზავნის ფულს ოჯახს, რადგან ამის აუცილებლობა არ არსებობს
21% უზრუნველყოფს მხოლოდ საკუთარ ხარჯებს ადგილზე
5% ოჯახი მას უგზავნის ფულს საზღვარგარეთ პირადი საჭიროებებისთვის

წყარო: **მსსკ-ს კვლევა**

2015 წლიდან მოყოლებული ზრდადია ფულადი გზავნილების პროცენტული წილი ქვეყნის მშპ-ში, თუმცა საქართველოში ყოველწლიურად შემოსული ფულადი გზავნილების დიდი მოცულობის მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკა გზავნილებზე ზედმეტად დამოკიდებული მაინც არ არის.

ფულადი გზავნილების პროცენტული წილი მშპ-ში წლების მიხედვით

წყარო: **საქართველოს ეროვნული ბანკი; საქსტატი**

უცხოეთიდან ფულადი გზავნილების შემოდინება ქვეყანაში უფრო სტაბილური პროცესია, ვიდრე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება. 2015-2017 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აჭარბებდა ქვეყანაში შემოსულ ფულადი გზავნილების ყოველწლიურ ოდენობას. თუმცა, 2018 წელს სურათი შეიცვალა და ფულადი გზავნილები თითქმის 200 მილიონით აჭარბებს ამ წელს განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს[21].

ფულადი გზავნილებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში



წყარო: **საქართველოს ეროვნული ბანკი; საქსტატი**

[20] იქიდან გამომდინარე, რომ რესპონდენტს შეეძლო პასუხის რამდენიმე ვარიანტის არჩევა, პასუხები 100%-მდე არ ჯამდება.

[21] 2018 წლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა გამოთვლილია წინასწარი მონაცემების მიხედვით.

დაბრუნება და რეინტეგრაცია

საქართველოში დაბრუნებაზე და რეინტეგრაციაზე მონაცემების მიღება რამდენიმე წყაროდან ხდება, თუმცა ეს მონაცემები ხშირად ურთიერთგადამფარავია, ფრაგმენტულია და ნაკლებად ასახავს დაბრუნებითი მიგრაციის სრულ სურათს. მოცემულ თავში განხილულია ევროსტატის, შსს-ს, შრომის სამინისტროს და IOM-ის მონაცემები. ყველა მათგანი აღრიცხავს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი ემიგრანტების დაბრუნების შემთხვევებს.

დაბრუნებითი მიგრაცია

ევროსტატის მონაცემების მიხედვით ბოლო ორი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება ქვეყნის დატოვების თაობაზე. ასეთ ქვეყნებს შორის 2018 წელს ლიდერობენ გერმანია, საფრანგეთი, საბერძნეთი, შვედეთი და პოლონეთი.

საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება ქვეყნის დატოვების თაობაზე



წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 20.06.2019)

ასევე წლიდან წლამდე იზრდება ევროკავშირის ქვეყნებიდან იძულებით და ნებაყოფლობით დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობაც.

ევროკავშირის ქვეყნიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა წლების და ძირითადი ქვეყნების მიხედვით

	2015	2016	2017	2018
გერმანია	760	1,215	1,740	2,240
საბერძნეთი	810	690	645	660
საფრანგეთი	305	240	340	600
ბელგია	180	190	365	565
ავსტრია	65	115	275	535
ნიდერლანდები	130	165	270	175
პოლონეთი	75	55	90	445
ესპანეთი	160	130	115	115
სხვა	655	565	920	1,290
სულ	3,140	3,365	4,760	6,625

წყარო: **ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 20.06.2019)**

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებიდან საქართველოს მოქალაქეთა იძულებით დაბრუნება, ძირითადად, რეადმისიის შესახებ შეთანხმების ფარგლებში ხორციელდება. ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებიდან რეადმისიაზე მიღებული განცხადებების რაოდენობა ბოლო 4 წლის განმავლობაში მზარდია. ყველაზე მეტი განაცხადი გერმანიიდანაა შემოსული, თუმცა ბოლო წლებში გაზრდილია საფრანგეთიდან, ავსტრიიდან და ნიდერლანდებიდან შემოსული განცხადებების რაოდენობაც.

ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებიდან რეადმისიის შეთანხმების ფარგლებში შემოსულ განაცხადებზე მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების რაოდენობა, დაბრუნების ქვეყნების და წლების მიხედვით

	2015	2016	2017	2018	ჯამი
გერმანია	411	793	1,167	2,085	4,456
საფრანგეთი	196	164	173	337	870
საბერძნეთი	168	128	101	73	470
ესპანეთი	108	95	66	63	332
შვედეთი	94	87	82	60	323
ავსტრია	24	80	177	213	494
ნიდერლანდები	32	70	177	263	542
ბელგია	61	64	60	32	217
იტალია	58	43	26	18	145
გაერთიანებული სამეფო	18	33	25	16	92
პოლონეთი	21	23	16	19	79
პორტუგალია	4	5	7	2	18
ირლანდია	6	3	4	25	38
ლიეტუვა	37	3	0	3	43
უნგრეთი	4	3	4	1	12
ბულგარეთი	6	2	3	1	12
ფინეთი	1	2	7	9	19
ჩეხეთი	0	1	4	3	8
რუმინეთი	2	0	0	1	3
სლოვაკეთი	12	0	0	1	13
ლუქსემბურგი	0	0	2	9	11
შვეიცარია	106	78	83	126	393
ნორვეგია	4	2	15	4	25
კვიპროსი	2	1	1	0	4
დანია	0	1	8	59	68
ჯამი	1,375	1,681	2,208	3,423	8,687

წყარო: შსს

ევროკავშირის ქვეყნებიდან რეადმისიაზე მიღებული განაცხადების დაკმაყოფილების კოეფიციენტი საქართველოს შემთხვევაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მესამე ქვეყნებს შორის და ყოველწლიურად 95%-ს აღემატება.

იძულებით დაბრუნებულ (დეპორტირებულ) საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა ევროკავშირის გარდა სხვა ქვეყნებიდანაც გაიზარდა. ბოლო წლებში განსაკუთრებით დიდია ისრაელიდან და თურქეთიდან გამოძევებულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა. 2018 წელს დეპორტირებულთა (4,566) ნახევარზე მეტი სწორედ ამ ორი ქვეყნიდანაა იძულებით დაბრუნებული საქართველოში[22].

საქართველოს მოქალაქეთა დეპორტაციის შემთხვევების რაოდენობა ძირითადი ქვეყნების მიხედვით (2018 წელი)



წყარო: შსს

[22] https://info.police.ge/uploads/5c5ab62e1a0ee.pdf ნანახია: 26.07.2019

მზარდია იმ დაბრუნებული მიგრანტების რაოდენობაც, რომლებიც საქართველოში IOM-ის ნებაყოფლობითი დაბრუნების და რეინტეგრაციის პროგრამის (AVRR) ფარგლებში ბრუნდებიან. საქართველოში დაბრუნებულთა უმრავლესობა გერმანიიდან და საბერძნეთიდანაა.

საქართველოში დაბრუნებული მოქალაქეების რაოდენობა
დაბრუნების ქვეყნების და წლების მიხედვით

	2015	2016	2017	2018	ჯამი
საბერძნეთი	636	553	557	575	2,321
გერმანია	2	2	972	1,104	2,080
ბელგია	61	60	113	385	619
შვეიცარია	39	19	36	94	188
ფინეთი	5	17	28	32	82
პოლონეთი	7	4	2	42	55
ლუქსემბურგი	0	5	4	39	48
ნიდერლანდები	6	11	5	24	46
დანია	21	8	0	3	32
ირლანდია	1	2	5	10	18
იტალია	1	0	0	14	15
გაერთიანებული სამეფო	2	1	6	6	15
სხვა *	13	7	11	6	38
საერთო ჯამი	794	689	1,739	2,334	5,557

წყარო: IOM (AVRR)

შენიშვნა: სხვაში გაერთიანებულია შემდეგი ქვეყნები: ავსტრია, ბელარუსი, ბრაზილია, კანადა, ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ისლანდია, ისრაელი, ლატვია, ლიეტუვა, მაკედონია, მოლდოვა, ნორვეგია, რუმინეთი, სლოვაკეთი, თურქეთი, უკრაინა.

რეინტეგრაცია

AVRR-ის ფარგლებში ბოლო ოთხ წელში 2,305 დაბრუნებულ მიგრანტს გაეწია სხვადასხვა სახის სარეინტეგრაციო დახმარება, მათ შორის, ყველაზე მეტი ბენეფიციარი 2017 და 2018 წლებშია რეგისტრირებული.

დაბრუნებულთა რაოდენობა წლების მიხედვით, რომლებსაც გაეწიათ სარეინტეგრაციო დახმარება



წყარო: IOM (AVRR)

დაბრუნებული მიგრანტების უმრავლესობა, რომლებიც სარეინტეგრაციო დახმარებას იღებენ, ძირითადად, საბერძნეთიდან, გერმანიიდან და ბელგიიდან არიან დაბრუნებული.

დაბრუნებულთა პროცენტული განაწილება დაბრუნების ქვეყნების მიხედვით, რომლებსაც 2015-2018 წლებში გაეწიათ დახმარება

1.	საბერძნეთი	45%	1,030
2.	გერმანია	24%	555
3.	ბელგია	15%	353
4.	შვეიცარია	6%	135
5.	ფინეთი	2%	55
6.	ლუქსემბურგი	1%	32
7.	პოლონეთი	1%	30
8.	ნიდერლანდები	1%	29
9.	დანია	1%	22
10.	იტალია	1%	21
11.	სხვა	2%	43
	სულ	**100%**	**2,305**

წყარო: IOM (AVRR)

პროგრამის ფარგლებში დაბრუნებულ მიგრანტებს ყველაზე ხშირად ფინანსური და სამედიცინო დახმარების და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით გაეწიათ მხარდაჭერა.

2015-2018 წლებში დაბრუნებული პირებისთვის გაწეული სარეინტეგრაციო დახმარების რაოდენობა და პროცენტული განაწილება ტიპების მიხედვით

დახმარება ბიზნესისთვის **1,060 (42%)**	ფინანსური დახმარება **573 (22%)**	სამედიცინო დახმარება **314 (12%)**	მატერიალური დახმარება **210 (8%)**
საცხოვრებელი **141 (6%)**	მიღება/დახვედრა **123 (5%)**	ტრენინგი **82 (3%)**	დასაქმება **59 (2%)**

წყარო: IOM (AVRR)

სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობისთვის სახელმწიფომ 2016 წლიდან დაიწ-ყო მიზნობრივი პროგრამების განხორციელება და თანხების სისტემატურად გამოყოფა ბიუჯეტიდან. 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 600,000 ლარი გამოიყო, 2017 წელს 590,000, ხოლო 2018 და 2019 წლებში - 650,000 ლარი. ბოლო სამი წლის განმავლობაში სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამის ფარგლებში სულ 1,443 ბენეფიციარი დარეგისტრირდა, საიდანაც პროგრამის პირობები დააკმაყოფილა და დახმარება გაეწია 716 პირს.

სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამის ფარგლებში გაწეული დახმარება წლების მიხედვით



წყარო: შრომის სამინისტრო

იმიგრაცია

საქართველოში იმიგრანტთა რაოდენობის შესახებ მონაცემთა რამდენიმე წყარო არსებობს. მოცემულ თავში წარმოდგენილი და გაანალიზებულია საქსტატის, UN DESA-ს და საქართველოს სახელმწიფო უწყებების ადმინისტრაციული მონაცემები. აღსანიშნავია, რომ სამივე წყარო გამოთვლის სხვადასხვა მეთოდოლოგიას ეყრდნობა და მონაცემებში გარკვეული სხვაობაც ამითაა გამოწვეული.

საქსტატი 2012 წლიდან ყოველწლიურად აქვეყნებს იმიგრანტთა ნაკადების სტატისტიკას საზღვრის კვეთის მონაცემებზე დაყრდნობით. საქსტატის მეთოდოლოგიის მიხედვით, იმიგრანტად ითვლება **ნებისმიერი პირი (მოქალაქეობრივი კუთვნილების მიუხედავად)**, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ 2 პირობას: 1. გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და ბოლო 12 თვეში სულ მცირე 183 დღე (შესაძლებელია ეს იყოს რამდენიმე შემოსვლის კუმულაციური ჯამი) იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე; 2. საქართველო არ იყო მისთვის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა, ე.ი. მას საქართველოს საზღვრებს გარეთ წინა 12 თვეში გატარებული აქვს სულ მცირე 183 დღე[23].



UN DESA იმიგრანტი მოსახლეობის რაოდენობას, ძირითადად, ითვლის „საზღვარგარეთ დაბადებულთა“ კატეგორიაზე დაყრდნობით[24]. ამ კატეგორიაში შესაძლებელია შედიოდეს საქართველოს ის მოსახლეობაც, რომლებიც დაბადებულები არიან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში (საბჭოთა კავშირის პერიოდში ან მისი დაშლის შემდეგ) და შესაძლოა საქართველოს მოქალაქეებიც კი იყვნენ.

საქართველოში უცხოელებზე ბინადრობის ნებართვები გაიცემა სსგს-ს მიერ. სასწავლო, შრომითი, ოჯახის გაერთიანების, საქართველოს ყოფილი მოქალაქის, სპეციალური და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვები გაიცემა დროებითი ცხოვრების უფლებით 6 წლამდე ვადით (პირველად გაიცემა 1 წლამდე ვადით და შესაძლებელია გაგრძელება 5 წლის ვადით). ხოლო საინვესტიციო და მუდმივი ცხოვრების ნებართვები გაიცემა უვადოდ.

საქსტატის მონაცემებით, 2018 წელს საქართველოში 88,152 იმიგრანტი იყო, რომელთაგან ნახევარზე მეტი (47,883) საქართველოს მოქალაქეა. 2015 წლის შემდეგ იმიგრანტთა რაოდენობა კლებადი იყო, თუმცა 2018 წელს მათი რიცხვი კვლავ გაიზარდა.

[23] https://www.geostat.ge/media/19529/Mqr_Population_External-migration_Geo.pdf ნანახია: 26.07.2019

[24] https://www.un.org/en/development/desa/population/migration/data/estimates2/docs/MigrationStockDocumentation_2017.pdf ნანახია: 26.07.2019

იმიგრანტთა რაოდენობა წლების და მოქალაქეობის მიხედვით[25]



წყარო: საქსტატი

2017-2018 წლების საქსტატის მონაცემებში თუ გამოვრიცხავთ საქართველოს მოქალაქეებს, იმიგრანტებში, ძირითადად, რუსეთის, თურქეთის და აზერბაიჯანის მოქალაქეები რჩებიან. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს გაზრდილია ირანის მოქალაქეთა რაოდენობა და წილი იმიგრანტებში.

უცხო ქვეყნის მოქალაქე იმიგრანტთა პროცენტული განაწილება მოქალაქეობის მიხედვით 2017 და 2018 წლებში[26]



წყარო: საქსტატი

[25] „სხვა ქვეყნის მოქალაქეში" გაერთიანებულია სხვა ქვეყნების მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონეები და კატეგორია, სადაც მოქალაქეობა არ არის მითითებული.

[26] იმიგრანტთა საერთო რაოდენობა, რომლიდანაც გამოთვლილია პროცენტი, არ მოიცავს საქართველოს მოქალაქე იმიგრანტებს. ხოლო, კატეგორიაში „სხვა" გაერთიანებული არიან სხვა ქვეყნების მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონეები და კატეგორია, სადაც მოქალაქეობა არ არის მითითებული.

UN DESA-ს თანახმად, საქართველოში საზღვარგარეთ დაბადებული მოსახლეობის რაოდენობა 2010 წლიდან მოყოლებული მზარდია. იმიგრანტთა ნახევარზე მეტი რუსეთშია დაბადებული.

იმიგრანტთა რაოდენობა დაბადების ადგილის მიხედვით



წყარო: UN DESA [27]

საქართველოში საიმიგრაციო (D კატეგორიის) ვიზის მსურველთა განაცხადები მიიღება საკონსულო საქმიანობის მართვის ელექტრონული სისტემის (geoconsul.gov.ge) მეშვეობით. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაცემული D კატეგორიის ვიზების რაოდენობა შემცირებულია. კლება ყველაზე მეტად - შრომითი საქმიანობისთვის გაცემულ ვიზებს შეეხო, ხოლო ყველაზე ნაკლებად - სასწავლო მიზნით გაცემულ ვიზებს. ეს იმ საკანონმდებლო ცვლილებებით აიხსნება, რომელიც 2015 წლის ივნისში შევიდა ძალაში და მნიშვნელოვნად შეცვალა სავიზო და ბინადრობის პოლიტიკა პროცედურების გამარტივების კუთხით. კერძოდ, საქართველოში უვიზოდ შემოსვლის და 1 წლით ყოფნის უფლება მიენიჭა 95 ქვეყნის[28] მოქალაქეს. ხოლო ბინადრობის ნებართვის მიღების სავალდებულო წინაპირობად შესაბამისი ტიპის საიმიგრაციო ვიზის ფლობა აღარაა საჭირო.

ამასთან, D3 (სასწავლო) ტიპის ვიზებს 2015-2018 წლებში ძირითადად ინდოეთის მოქალაქეები იღებდნენ. რაც შეეხება შრომითი საქმინობის (D1) და ოჯახის გაერთიანების (D4) მიზნით გაცემულ ვიზებს, რომელთა რაოდენობა 2016 წლიდან მკვეთრად შემცირებულია (ზემოთხსენებული საკანონმდებლო ცვლილებების გამო), ბოლო 3 წლის განმავლობაში ძირითადად ასევე ინდოეთის მოქალაქეები იღებენ.

[27] International migrant stock by destination and origin. https://bit.ly/2vBZO0j ნანახია: 26.07.2019

[28] http://migration.commission.ge/index.php?article_id=160&clang=0 ნანახია: 26.07.2019

საკონსულო საქმიანობის მართვის ელექტრონული სისტემის (geoconsul.gov.ge) მეშვეობით გაცემული D კატეგორიის ვიზების განაწილება ვიზის ტიპების, წლების და მოქალაქეობის მიხედვით

D1 - შრომითი საქმიანობა		D2 - მეცნიერული, სპორტული, კულტურული ან საგანმანათლებლო მიზანი		D3 - სასწავლო		D4 - ოჯახის გაერთიანება		D5 - საინვესტიციო	
2015 წელი: 7,253 ვიზა									
თურქეთი	943	ჩინეთი	14	ინდოეთი	598	აზერბაიჯანი	702	ირანი	10
ჩინეთი	705	ინდოეთი	13	აზერბაიჯანი	318	რუსეთი	337	რუსეთი	8
ინდოეთი	298	სხვა	12	ნიგერია	275	სომხეთი	288	ერაყი	6
ირანი	214			ერაყი	138	უკრაინა	232	ეგვიპტე	4
სხვა	1,246			სხვა	167	ირანი	166	სხვა	4
						სხვა	555		
სულ	3,406	სულ	39	სულ	1,496	სულ	2,280	სულ	32
2016 წელი: 1,741 ვიზა									
ინდოეთი	329	კონგოს რესპ.	2	ინდოეთი	976	ინდოეთი	33	ერაყი	10
ჩინეთი	160	სხვა	5	ნიგერია	50	ეგვიპტე	13		
სხვა	43			ნეპალი	30	სხვა	31		
				შრი-ლანკა	20				
				სხვა	39				
სულ	532	სულ	7	სულ	1,115	სულ	77	სულ	10
2017 წელი: 2,535 ვიზა									
ინდოეთი	64	ჩინეთი	10	ინდოეთი	2,168	ინდოეთი	18		
ჩინეთი	12	ინდოეთი	3	ბანგლადეში	74	სხვა	21		
სხვა	31			ნეპალი	36				
				სხვა	98				
სულ	107	სულ	13	სულ	2,376	სულ	39		
2018 წელი: 2,164 ვიზა									
ინდოეთი	62	ჩინეთი	13	ინდოეთი	1,778	ინდოეთი	30	ეგვიპტე	1
ჩინეთი	20	სხვა	4	ნიგერია	81	სხვა	16	ირანი	1
სხვა	37			სხვა	120			საფრანგეთი	1
სულ	119	სულ	17	სულ	1,979	სულ	46	სულ	3

წყარო: **საგარეო საქმეთა სამინისტრო**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაცემული 52,167 მოქმედი ბინადრობის მოწმობა ფიქსირდებოდა. ბოლო ოთხი წლის მონაცემებით, აქტიური ბინადრობის მოწმობების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და ეს, ძირითადად, დროებითი ბინადრობის მოწმობების ხარჯზე ხდება.

მოქმედი ბინადრობის მოწმობები წლების და ბინადრობის ნებართვის ტიპის მიხედვით (თითოეული წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)



წყარო: სსგს

მუდმივი ბინადრობის მოწმობებს, ძირითადად, საქართველოს მეზობელი ქვეყნების (რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი) მოქალაქეები ფლობენ, ხოლო დროებითი მობინადრეების უმეტესობა ირანის, ინდოეთის და ამ შემთხვევაშიც რუსეთის მოქალაქეები არიან.

მოქმედი ბინადრობის მოწმობების რაოდენობა მოქალაქეობის და ბინადრობის ნებართვის ტიპის მიხედვით (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)



წყარო: სსგს

ბინადრობის მოწმობების მფლობელ უცხოელთა ნახევარზე მეტი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით თბილისშია რეგისტრირებული, ხოლო დაახლოებით 1/3 ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში.

მოქმედი ბინადრობის მოწმობების მფლობელთა პროცენტული განაწილება რეგისტრაციის რეგიონის მიხედვით (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)



წყარო: სსგს

ბოლო 4 წლის განმავლობაში სსგს-ს მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სხვადასხვა საფუძვლით 88,493 ბინადრობის ნებართვა გაიცა. აქედან ყველაზე მეტი ბინადრობის ნებართვა 2015 წელს გაიცა. 2016 წელს ბინადრობის ნებართვების შემცირება 2015 წლის ივნისში ძალაში შესული საკანონმდებლო ცვლილებით აიხსნება, რომლითაც საქართველოში უვიზოდ შემოსვლის და 1 წლით ყოფნის უფლება 95 ქვეყნის მოქალაქეებს მიენიჭათ. თუმცა, ამ რეგულაციის მიუხედავად, 2016 წლიდან ბინადრობის ნებართვების გაცემის სტატისტიკა მაინც მზარდია.

როგორც რაოდენობრივად, ისე წილობრივად ბოლო ოთხ წელიწადში გაზრდილია ბინადრობის ნებართვის მიღებაზე უარყოფითი გადაწყვეტილებებიც, რომელთა წილი მიღებულ გადაწყვეტილებებში 3%-დან 23%-მდე გაიზარდა.

სსგს-ს მიერ გაცემული ბინადრობის ნებართვების და უარყოფითი გადაწყვეტილებების რაოდენობა წლების მიხედვით

	2015	2016	2017	2018
გაცემული ბინადრობის ნებართვები	29,360	17,223	19,332	22,578
უარყოფითი გადაწყვეტილებები	889	1,659	4,256	6,598

წყარო: სსგს

2015-2018 წლებში გაცემული ბინადრობის ნებართვების ყველაზე დიდი წილი შრომით და სასწავლო ბინადრობის ნებართვებზე მოდის, რომლებიც დროებითი ტიპის ნებართვებს მიეკუთვნება.

2018 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სასწავლო და მოკლევადიანი[29] ბინადრობის ნებართვების რაოდენობა და შემცირდა შრომითი ბინადრობის ნებართვები. 2015 წლის შემდეგ ასევე შემცირებულია მუდმივი ცხოვრების და საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვების რაოდენობაც.

2015-2018 წლებში გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობა საფუძვლების და წლების მიხედვით

	2015	2016	2017	2018	სულ
შრომითი	9,440	9,666	9,765	7,173	36,044
სასწავლო	4,663	2,901	4,138	6,051	17,753
ოჯახის გაერთიანების მიზნით	2,636	1,694	2,190	1,876	8,396
საინვესტიციო	214	95	88	114	511
საქართველოს ყოფილი მოქალაქის	4,250	360	222	119	4,951
მუდმივი ცხოვრების	7,077	1,611	1,537	1,442	11,667
სპეციალური	1,044	587	415	457	2,503
მოკლევადიანი	36	309	977	5,346	6,668
	29,360	17,223	19,332	22,578	სულ: 88,493

წყარო: **სსგს**

[29] მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა 2015 წლის ივნისიდან გაიცემა იმ უცხოელებზე, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე საკუთრების უფლებით ფლობენ უძრავ ქონებას (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 35,000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში.

მუდმივი ცხოვრების ნებართვის მფლობელები, ძირითადად, საქართველოს მეზობელი ქვეყნების და უკრაინის მოქალაქეები არიან.

მუდმივი ცხოვრების ნებართვების პროცენტული განაწილება
წლების და მოქალაქეობის მიხედვით



წყარო: სსგს

რაც შეეხება მოკლევადიან ბინადრობის ნებართვებს, რომელთა რაოდენობაც 2016 წლის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა და 2018 წელს 5,346 შეადგინა, მათ უმრავლესობას (87% 2018 წელს) ირანის მოქალაქეები ფლობენ.

2015-2018 წლებში გაცემული ბინადრობის ნებართვების მფლობელთა უმრავლესობა (66%) მამრობითი სქესისაა. მდედრობითი სქესის უცხოელები მხოლოდ ოჯახის გაერთიანების, მუდმივი ცხოვრების და სპეციალური ბინადრობის ნებართვების კატეგორიაში ჭარბობენ.

2015-2018 წლებში ბინადრობის ნებართვების მიმღებ პირთა პროცენტული განაწილება სქესის და ბინადრობის ნებართვის ტიპების მიხედვით

შრომითი	სასწავლო	ოჯახის გაერთიანების	საინვესტიციო
19% 81%	35% 65%	64% 36%	32% 68%
ყოფილი მოქალაქის	მუდმივი ცხოვრების	სპეციალური	მოკლევადიანი
33% 67%	53% 47%	52% 48%	38% 62%

წყარო: სსგს

2015-2018 წლებში გაცემული ბინადრობის ნებართვების მფლობელთა უმრავლესობა (89%) 18-65 წლის ასაკობრივ კატეგორიაში ექცევა. სასწავლო ბინადრობის ნებართვის მიმღებთა შორის 18-25 წლის პირები ჭარბობენ, ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვების ნახევარზე მეტი კი არასრულწლოვნებზე (18 წლამდე პირებზე) გაიცა. შრომითი ბინადრობის ნებართვების ნახევარზე მეტი 26-40 წლის პირებზეა გაცემული, ხოლო ყოფილი მოქალაქის, მუდმივი ცხოვრების, საინვესტიციო და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვების 40%-ზე მეტი შუახნის ასაკის (41-65 წლის) მობინადრეებზე მოდის.

2015-2018 წლებში ბინადრობის ნებართვების მიმღებ პირთა პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფის და ბინადრობის ტიპის მიხედვით



წყარო: სსგს

ცირკულარული (მოკლევადიანი) იმიგრანტები

2015-2018 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოში ყოფნის ხანგრძლივობის ანალიზი მოკლევადიანი, ცირკულარული იმიგრაციის გარკვეულ ტენდენციას გვაჩვენებს. ამ ანალიზის მიზნებისთვის, მოკლევადიან იმიგრანტად მიჩნეული არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც კალენდარულ წელიწადში 1-დან 6 თვემდე პერიოდს ატარებენ საქართველოში.

ცირკულარული იმიგრაციის ამ ტენდენციის შესასწავლად მოკლევადიან იმიგრანტთა 2015 და 2016 წლების ჯგუფები შეირჩა. თითოეული ჯგუფისთვის მომდევნო 2 წელიწადზე გაგრძელდა დაკვირვება[30] და ცირკულარულ მიგრანტად ჩაითვალა პირი, რომელიც შემდეგი 2 წლის განმავლობაშიც თითოეულ კალენდარულ წელს 1 თვიდან 6 თვემდე პერიოდი იმყოფებოდა საქართველოში (შესაძლებელია ეს იყოს გადაბმული ვიზიტი ან რამდენიმე შემოსვლის კუმულაციური ჯამი)[31].

2015 წლის (საწყის) მოკლევადიან იმიგრანტთა ჯგუფში 138,142 პირი, ხოლო 2016 წელს 166,377 პირი იყო. ორივე ჯგუფში, იმიგრანტთა, საშუალოდ, 34% მომდევნო წელსაც იმავე პერიოდით დაბრუნდა საქართველოში. მესამე წელს მესამე წრეზე იმავე პერიოდით ამ პირთა, საშუალოდ, 19% შემოვიდა ქვეყანაში. ცირკულარულ იმიგრანტთა უმრავლესობა საქართველოს მეზობელი ქვეყნების მოქალაქეები არიან.

ცირკულარული იმიგრანტები, 2015 და 2016 წლების ჯგუფები

	2015 წ. II წრე	2016 წ. II წრე	2015 წ. III წრე	2016 წ. III წრე
რუსეთი	22,188	23,511	13,427	14,620
აზერბაიჯანი	7,492	8,488	4,486	5,006
თურქეთი	4,946	5,198	2,706	2,648
სომხეთი	4,358	4,496	2,460	2,468
უკრაინა	1,946	2,250	905	1,048
საბერძნეთი	1,060	1,096	619	665
აშშ	925	1,101	478	568
გერმანია	721	768	398	458
ირანი	509	947	308	464
ისრაელი	463	565	265	320
სხვა ქვეყნის მოქალაქეები	4,094	4,894	2,073	2,343
სულ	48,702	53,314	28,125	30,608

წყარო: მეას[32]

[30] 2015 წლის ჯგუფისთვის გაანალიზდა მათი საქართველოში ყოფნის ხანგრძლივობა 2015-2017 წლებში, 2016 წლის ჯგუფისთვის კი 2016-2018 წლებში. 2018 წლის მონაცემები დასაზუსტებელია, რადგან ანალიზისთვის საჭიროა 2019 წლის საზღვრის კვეთის მონაცემებიც, რომელიც ანგარიშის მომზადების პერიოდში არ იყო ხელმისაწვდომი.

[31] ცირკულარულ მიგრანტად ჩაითვალა უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელმაც საწყის (2015 ან 2016) წელს გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და იმავე წელს 1-დან 6 თვემდე იმყოფებოდა საქართველოში, ყოველ მომდევნო წელს საქართველოში გაატარა 1 თვიდან 6 თვემდე პერიოდი და თითოეული კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოს საზღვარზე უფიქსირდება 50 კვეთაზე ნაკლები (საზღვრისპირა მიგრანტების გამორიცხვის მიზნით).

[32] ანგარიში მომზადებულია მეას-ში საზღვრის კვეთის, მოქალაქეობის მინიჭების და გაცემული ბინადრობის ნებართვების მონაცემების გაერთიანებით.

ზემოხსენებულ ცირკულარულ იმიგრანტთა უმრავლესობა თითოეულ წელს 1-დან 2 თვემდე პერიოდით დარჩა საქართველოში (გადაბმულად ან რამდენიმე ვიზიტის ჯამური ხანგრძლივობა). ისინი, ძირითადად, ხანმოკლე ვიზიტებით შემოდიან ქვეყანაში. მათი დაახლოებით 41% საქართველოში 7-დღიანი ან უფრო ხანმოკლე ვიზიტით იმყოფებოდა.

ცირკულარული იმიგრანტების საქართველოში ყოფნის ხანგრძლივობა



წყარო: მეას

ცირკულარული იმიგრანტების ორივე ჯგუფის დაახლოებით 10% ბოლო ვიზიტისთვის იყო საქართველოს მოქალაქე ან ჰქონდა მუდმივი ან დროებითი ბინადრობის ნებართვა.

უმაღლესი განათლების მიღების მიზნით ჩამოსული იმიგრანტები

საქართველოში ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გაცემული სასწავლო ბინადრობის ნებართვების დიდი ნაწილი ინდოეთის, ერაყის და ნიგერიის მოქალაქეებზე მოდის. ამასთან, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მზარდია ინდოეთის მოქალაქეებზე გაცემული ნებართვების წილი ყოველწლიურად გაცემულ სასწავლო ბინადრობის ნებართვების საერთო რაოდენობაში, ხოლო შემცირებულია ერაყის, თურქეთის და ნიგერიის მოქალაქეებზე გაცემული სასწავლო ბინადრობის ნებართვების წილი.

სსგს-ს მიერ გაცემული სასწავლო ბინადრობის ნებართვების პროცენტული განაწილება წლების და მოქალაქეობის მიხედვით



წყარო: სსგს

ბოლო ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობაც, რაც, ძირითადად, ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამებზე უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვების ზრდის გამო მოხდა.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქეები წლების და სწავლების საფეხურის მიხედვით

	2015	2016	2017	2018
ერთსაფეხურიანი სამედიცინო	1,066	1,864	3,938	3,513
ბაკალავრიატი	1,516	1,058	1,230	1,188
მაგისტრატურა	119	125	173	183
დოქტორანტურა	33	31	19	4

წყარო: განათლების სამინისტრო

შენიშვნა: 2018 წლის მონაცემები არასრულია, რადგან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელები ვალდებული არიან, ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხონ სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტები/მაგისტრანტობის კანდიდატები/სტუდენტები ერთი წლის ვადაში ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, 2018 წელს ჩარიცხვის უფლებამოპოვებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რიცხოვნობა, სავარაუდოდ, შეიცვლება 2019 წლის ბოლომდე.

2015-2018 წლებში ბაკალავრიატზე, მაგისტრატურაზე, დოქტორანტურაზე და ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამებზე ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების ნახევარზე მეტი ინდოეთის და აზერბაიჯანის მოქალაქეები არიან.

2015-2018 წლებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების პროცენტული განაწილება მოქალაქეობის მიხედვით

1.	ინდოეთი	41%	6,582
2.	აზერბაიჯანი	23%	3,688
3.	ნიგერია	5%	796
4.	ირანი	4%	704
5.	რუსეთი	3%	408
6.	ერაყი	3%	405
7.	ისრაელი	2%	346
8.	თურქეთი	2%	355
9.	სხვა ქვეყნები	17%	2,776
	სულ	100%	16,060

წყარო: განათლების სამინისტრო

საქართველოს რეგიონულ საგანმანათლებლო ცენტრად წარმოჩენის და უცხოელი სტუდენტების საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოზიდვის მიზნით, განათლების სამინისტრო 2017 წლიდან ახორციელებს პროექტს - „ისწავლე საქართველოში". აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2017 წელს ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ უცხოელი სტუდენტების 78% დაინტერესებულია საქართველოში სტაჟირებით, ხოლო დაახლოებით ერთი მესამედი ისურვებდა დასაქმებას საქართველოში[33]. კვლევის მიხედვით, უცხოელი სტუდენტების საქართველოში სტაჟირება ან დასაქმება სირთულეებს, ძირითადად, ენობრივ ბარიერს უკავშირდება.

[33] „უცხოელი სტუდენტების გამოცდილების, დამოკიდებულებების, მოტივაციისა და საქართველოში სწავლით კმაყოფილების კვლევა" PMCG/განათლების სამინისტრო. 2017 წ.

შრომითი იმიგრანტები

საქართველოში ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გაცემული შრომითი ბინადრობის ნებართვების დიდი ნაწილი თურქეთის, ინდოეთის, ჩინეთის და ირანის მოქალაქეებზე მოდის.

სსგს-ს მიერ გაცემული შრომითი ბინადრობის ნებართვების პროცენტული განაწილება წლების და მოქალაქეობის მიხედვით



წყარო: სსგს

ეკონომიკის სამინისტროს მიერ ჩატარებული „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის“ მიხედვით, 2017 წელს უცხოელ დასაქმებულთა საერთო რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 17%-ით გაიზარდა და 17,330 შეადგინა (მთლიანი დასაქმების 2.2%). კვლევის მიხედვით, უცხოელთა 79% თბილისშია დასაქმებული. მშენებლობა და საბითუმო და საცალო ვაჭრობა უცხოელთა დასაქმების ძირითადი სფეროებია[34].

დასაქმებული უცხოელების პროცენტული განაწილება დასაქმების სფეროების მიხედვით

წყარო: უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა. 2017 წ.

[34] უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის ანგარიში, 2017 წ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Survey&ID=f7fe927d-6684-47f9-9da2-da850754aad3 ნანახია: 26.07.2019

უცხოელი მეწარმეები

ბოლო 4 წლის განმავლობაში მზარდია იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა, რომლებიც საქართველოში სამეწარმეო სუბიექტებს აფუძნებენ.

2015-2018 წლებში რეგისტრირებული სამეწარმეო სუბიექტების უცხო ქვეყნის მოქალაქე დამფუძნებელთა რაოდენობა



წყარო: **საჯარო რეესტრი**

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მზარდია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში დაფუძნებული სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობაც. ასეთი სუბიექტების უმრავლესობას ყველა დამფუძნებელი უცხო ქვეყნის მოქალაქე ჰყავს.

სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა საქართველოში, (1) რომელთა დამფუძნებლებიც მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირ(ებ)ი არიან და (2) რომელთა ერთ-ერთი დამფუძნებელი მაინც უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირია



წყარო: **საჯარო რეესტრი**

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ რეგისტრირებული სამეწარმეო სუბიექტების ნახევარზე მეტი ირანის, თურქეთის და რუსეთის მოქალაქეების მიერაა დაფუძნებული.

2015-2018 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ რეგისტრირებული სამეწარმეო სუბიექტების დამფუძნებელთა პროცენტული განაწილება მოქალაქეობის მიხედვით



წყარო: **საჯარო რეესტრი**

უძრავი ქონება

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მზარდია უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოში უძრავი ქონების საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შემთხვევები. უცხო ქვეყნის მოქალაქეები, ძირითადად, ბინებს ირეგისტრირებენ საკუთრების უფლებით.

2018 წელს წინა წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ ბინის რეგისტრაციის შემთხვევები. ასევე გაზრდილია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შემთხვევები უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ, თუმცა რაოდენობრივად ბევრად ჩამოუვარდება ბინების საკუთრების უფლებით რეგისტრაციას. სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შემთხვევები კი მკვეთრად შემცირებულია, რაც უცხოელებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლებით მოპოვებაზე 2017 წლის ივნისში გამოცხადებულ მორატორიუმს უკავშირდება[35]. მორატორიუმის პერიოდში არსებულ რეგისტრაციის შემთხვევებში ყველა განმცხადებელი სარეგისტრაციო განცხადების წარმოდგენამდე უკვე რეგისტრირებული იყო სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრედ და მოცემულ შემთხვევებში განხორციელდა მხოლოდ ცვლილება, საკადასტრო მონაცემების დაზუსტება ან/ და მიწის ნაკვეთების გაერთიანება.

[35] http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=6438 ნანახია: 26.07.2019

2015-2018 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ უძრავი ქონების საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შემთხვევები წლების და ქონების ტიპის მიხედვით



წყარო: **საჯარო რეესტრი**

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონების 40% რუსეთის მოქალაქეებზე მოდის.

2015-2018 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება, მფლობელთა მოქალაქეობის მიხედვით



წყარო: **საჯარო რეესტრი**

საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირები

2018 წლის ბოლოს საქართველოში 1,171 ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი იყო რეგისტრირებული. მათი უმეტესობა ერაყის და უკრაინის მოქალაქეები არიან.

ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირების პროცენტული განაწილება მოქალაქეობის მიხედვით (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)



წყარო: შსს

საქართველოში მცხოვრებ ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა უმრავლესობა კაცია და 18-59 წლის ასაკობრივ კატეგორიაში ხვდება.

ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირების პროცენტული განაწილება სქესის და ასაკის მიხედვით

წყარო: შსს

2015 წელთან შედარებით შემცირებულია და ბოლო სამი წლის განმავლობაში სტაბილურია საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი. ამასთან, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ცვლილებები ფიქსირდება თავშესაფრის მაძიებელთა ძირითად წარმოშობის ქვეყნებში. კერძოდ, შემცირებულია ერაყის, უკრაინის და ბანგლადეშის მოქალაქეთა განცხადებების რაოდენობა, ხოლო გაზრდილია ირანის, ეგვიპტის, თურქეთის, პაკისტანის, სირიის და იემენის მოქალაქე თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა.

თავშესაფრის მაძიებელთა განცხადებები წლების და ძირითადი მოქალაქეობის მიხედვით



წყარო: შსს

ბოლო 4 წლის განმავლობაში ასევე მზარდია ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მაძიებელთა განცხადებებზე უარყოფითი გადაწყვეტილებების როგორც რაოდენობა, ასევე წილი წლიურად მიღებული გადაწყვეტილებების მთლიან რაოდენობაში, რაც ძირითადად გამოწვეულია საერთაშორისო დაცვაზე დაუსაბუთებელი განცხადებების რაოდენობის ზრდით.

ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მაძიებელთა განცხადებებზე დადებითი და უარყოფითი გადაწყვეტილებების რაოდენობა წლების მიხედვით

წყარო: შსს

არალეგალური იმიგრაცია

წინა წელთან შედარებით, 2018 წელს გაორმაგდა საქართველოს საზღვარზე უცხოელებისთვის ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმის შემთხვევები.

საქართველოს საზღვარზე უცხოელებისთვის ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმის შემთხვევების რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: **შსს**

2018 წელს საქართველოში შემოსვლაზე უარების ყველაზე დიდი წილი ირანის (20%) და ინდოეთის (14%) მოქალაქეებზე მოდის.

ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია საქართველოდან გაძევებულ უცხოელთა რაოდენობაც, რომლებიც ქვეყანაში კანონიერი საფუძვლის გარეშე იმყოფებოდნენ.

საქართველოდან გაძევებულ უცხოელთა რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: **შსს**

2018 წელს საქართველოდან გაძევებულ უცხოელთა 52%-ს შეადგენდნენ ბანგლადეშის (13), თურქეთის (12) ირანის (10), აზერბაიჯანის (9) და შრი-ლანკას (8) მოქალაქეები.

2015 წლის შემდეგ მკვეთრად შემცირდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოს სავიზო რეჟიმის დარღვევის ფაქტები, თუმცა 2016 წლის შემდეგ ამ შემთხვევების რაოდენობა მაინც იმატებს, რაც გარკვეულწილად იმავე წლებში გაზრდილი მიგრაციული ნაკადების და მობილობის პროპორციულია.

სავიზო რეჟიმის დარღვევის შემთხვევების
რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: **შსს**

საქართველოში სავიზო რეჟიმს, ძირითადად, მეზობელი ქვეყნების და ირანის მოქალაქეები არღვევენ.

2015-2018 წლებში სავიზო რეჟიმის დამრღვევთა პროცენტული განაწილება
მოქალაქეობის მიხედვით (ძირითადი ქვეყნები)



1.	რუსეთი	3,002	16%
2.	ირანი	2,820	15%
3.	სომხეთი	1,798	10%
4.	აზერბაიჯანი	1,737	10%
5.	თურქეთი	1,504	8%
	სხვა	**7,364**	**40%**

წყარო: **შსს**

აღსანიშნავია, რომ სავიზო რეჟიმის დარღვევის ფაქტების გამოვლენის შემთხვევებში, არალეგალურად მყოფ უცხოელთა უმრავლესობა ნებაყოფლობით ტოვებს ქვეყანას და საზღვარზე გასვლისას შესაბამის ადმინისტრაციულ ჯარიმას ექვემდებარება.

ინტეგრაცია

ოჯახის გაერთიანება

ბოლო 4 წლის განმავლობაში ოჯახის გაერთიანების მიზნით 8,396 ბინადრობის ნებართვა გაიცა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. ნებართვების დიდი ნაწილი ირანის, თურქეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, უკრაინის, სომხეთის და ინდოეთის მოქალაქეებზეა გაცემული. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ოჯახის გაერთიანების მიზნით ირანის მოქალაქეებზე გაცემული ბინადრობის ნებართვების წილი.

ოჯახის გაერთიანების მიზნით გაცემული ბინადრობის ნებართვების განაწილება წლების და მოქალაქეობის მიხედვით



წყარო: სსგს

ზოგადი განათლება

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ უცხოელ მოსწავლეთა რაოდენობა 2018 წელს განსაკუთრებით გაიზარდა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული უცხოელი მოსწავლეების რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: **განათლების სამინისტრო**

2018 წელს ჩარიცხული უცხოელი მოსწავლეების 75% რუსეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ირანის, თურქეთის და სომხეთის მოქალაქეები არიან.

2018 წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული უცხოელი მოსწავლეების პროცენტული განაწილება მოქალაქეობის მიხედვით



წყარო: **განათლების სამინისტრო**

აზერბაიჯანის, უკრაინის, თურქეთის და სომხეთის მოქალაქე მოსწავლეთა რაოდენობა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სტაბილურია. 2018 წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ უცხოელ მოსწავლეთა ზრდა, ძირითადად, რუსეთის და ირანის მოქალაქე მოსწავლეთა ზრდის ხარჯზე მოხდა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული უცხოელი მოსწავლეების რაოდენობა წლების და მოქალაქეობის მიხედვით



წყარო: **განათლების სამინისტრო**

2015-2018 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეების უმრავლესობა (62%) ჩარიცხულია საჯარო სკოლაში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული უცხოელი მოსწავლეების რაოდენობა წლების და სკოლის სტატუსის მიხედვით

	2015	2016	2017	2018
კერძო	492	480	570	1,065
საჯარო	1,003	890	1,000	1,335

წყარო: **განათლების სამინისტრო**

პროფესიული განათლება

საქართველოს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში შემცირებულია.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობა და სქესობრივი განაწილება წლების მიხედვით

	2015	2016	2017	2018
	72	39	16	9
	36	33	17	11

წყარო: **განათლების სამინისტრო**

2015-2018 წლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 233 უცხო ქვეყნის მოქალაქიდან ნახევარზე მეტი აზერბაიჯანის მოქალაქეა.

2015-2018 წლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა პროცენტული განაწილება მოქალაქეობის მიხედვით

1. აზერბაიჯანი	165	71%
2. რუსეთი	34	15%
3. მოქალაქეობის არმქონე	11	5%
4. სომხეთი	8	3%
5. უკრაინა	7	3%
სხვა ქვეყნები	8	3%

წყარო: **განათლების სამინისტრო**

ჯანდაცვა და სოციალური დახმარება

საკმაოდ მცირე და ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მეტ-ნაკლებად სტაბილურია იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც სახელმწიფოსგან დახმარებას იღებენ სოციალური და ჯანდაცვის კუთხით.

უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა, რომლებზეც გაიცა სოციალური დახმარება წლების და სტატუსის მიხედვით



წყარო: შრომის სამინისტრო

უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა, რომლებზეც გაიცა დახმარება ჯანდაცვაზე წლების და სტატუსის მიხედვით



წყარო: შრომის სამინისტრო

მუდმივი ცხოვრების ნებართვის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა, რომლებზეც გაიცა სახელმწიფო გასაცემელი წლების მიხედვით

2015	2016	2017	2018
132	131	137	139

წყარო: შრომის სამინისტრო

ნატურალიზაცია

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილია ნატურალიზაციის ხუთი ფორმა:

❶ საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭება;

❷ საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭება;

❸ საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭება;

❹ საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭება;

❺ საქართველოს მოქალაქეობის სპეციალური წესით მინიჭება.

ნატურალიზაციის ამ ხუთი ფორმიდან ყველაზე მეტი მოთხოვნა ფიქსირდება საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე, რომელიც იმ შემთხვევაში ენიჭება უცხო ქვეყნის მოქალაქეს, თუ მას საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვს ან რომლისთვისაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს[36].

2015 წლიდან 2017 წლამდე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე მზარდი მოთხოვნა იყო, თუმცა 2018 წელს მოთხოვნა ოდნავ შემცირებულია. ამასთან, 2015 წლიდან 2018 წლამდე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე უარყოფითი გადაწყვეტილებების წილი მიღებული გადაწყვეტილებების მთლიან რაოდენობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა (22%-დან 51%-მდე).

ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე გადაწყვეტილებების რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: სსგს

[36] საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: http://sda.gov.ge/?page_id=5123 ნანახია: 26.07.2019

ნატურალიზაციის შესახებ დადებითი გადაწყვეტილებების 98% სწორედ საგამონაკლისო წესით მოქალაქეობის მინიჭებაზე მოდის. **საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობა ბოლო 4 წლის განმავლობაში, უმეტესწილად, რუსეთის მოქალაქეებს მიენიჭათ, რომელთა უმრავლესობა მანამდეც ფლობდა საქართველოს მოქალაქეობას.**

ძირითადი ქვეყნები, რომელთა მოქალაქეებსაც მიენიჭათ საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით 2015-2018 წლებში



წყარო: სსგს

იმიგრაციის ეკონომიკური გავლენა

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მზარდია ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, რაშიც მნიშვნელოვანი წილი უცხოელ ფიზიკურ/იურიდიულ პირთა მფლობელობაში არსებულ კომპანიებსაც შეაქვთ.

ბიზნესსექტორის ბრუნვა წლების და საკუთრების ფორმის მიხედვით (მილიონი ლარი)



წყარო: **საქსტატი**

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გაიზარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის მოცულობა. საშემოსავლო გადასახადთან შედარებით მცირეა, თუმცა ზრდადია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ გადახდილი ქონების გადასახადის ოდენობა. 2018 წელს წინა წელთან შედარებით შემცირებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ გადახდილი ქონების გადასახადი მიწაზე (სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების).

უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირების (მათ შორის, ინდმეწარმე) მიერ გადახდილი საშემოსავლო და ქონების გადასახადი ლარში



წყარო: **შემოსავლების სამსახური**

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მზარდია უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ დაფუძნებული როგორც აქტიური ასევე პასიური სტატუსის მქონე გადასახადის გადამხდელ სუბიექტთა რაოდენობა[37].

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ დაფუძნებული სუბიექტების რაოდენობა და სტატუსი წლების მიხედვით[38]



წყარო: **შემოსავლების სამსახური**

[37] გადასახადის გადამხდელის „აქტიური“ და „პასიური“ სტატუსი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების მე-7 მუხლის შესაბამისად https://www.rs.ge/common/get_doc.aspx?id=9653 ნანახია: 26.07.2019

[38] მოცემულ თავში გამოყენებული ტერმინი „სუბიექტები“ აერთიანებს შემდეგ სამართლებრივ ფორმებს: 1. კერძო სამართლის იურიდიული პირები (შპს; სპს; სს; კომანდიტური საზოგადოება; კოოპერატივი). 2. უცხოური საწარმო (უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულება /გარდა ფილიალისა/ წარმომადგენლობისა/, უცხოური საწარმოს ფილიალი /წარმომადგენლობა/, უცხოური საწარმო); 3. უცხოური ორგანიზაცია (უცხოური ორგანიზაცია, დიპლომატიური ორგანიზაცია).

აღსანიშნავია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ დაფუძნებული „აქტიური“ სტატუსის მქონე გადასახადის გადამხდელ სუბიექტთა უმრავლესობა მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერაა დაფუძნებული.

ბოლო ოთხ წელიწადში მზარდია უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ დაფუძნებული სამეწარმეო სუბიექტების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების სახით შეტანილი თანხის მოცულობა.

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ დაფუძნებულ სუბიექტთა მიერ გადახდილი გადასახადები წლების მიხედვით (ლარში)

წყარო: **შემოსავლების სამსახური**

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ დაფუძნებული სამეწარმეო სუბიექტების უმრავლესობა თბილისშია რეგისტრირებული.

2015-2018 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ რეგისტრირებული სამეწარმეო სუბიექტების პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით



წყარო: **საჯარო რეესტრი**

შიდა მიგრაცია

იძულებით გადაადგილებული პირები

საქართველოში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები) ორი ძირითადი ჯგუფისგან შედგება:

1. იძულებით გადაადგილებულ პირთა პირველი ტალღა, რომლებმაც 1991-1993 წლებში თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ დატოვეს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიები და
2. იძულებით გადაადგილებულ პირთა მეორე ტალღა, რომლებმაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დატოვეს იგივე რეგიონები.

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა თითქმის 10-ჯერ აღემატება ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობას.

იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა წლების და წარმოშობის რეგიონის მიხედვით, სქესობრივი და ასაკობრივი პროცენტული განაწილება 2018 წელს





წყარო: **შრომის სამინისტრო**

ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის დიდი ნაწილი კომპაქტურ დასახლებებში ცხოვრობს, ხოლო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა - კერძოში.

განსხვავებულია ცხინვალის რეგიონიდან და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრისის მიხედვით განაწილებაც საქართველოს რეგიონებში. ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი ნაწილი მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლში ცხოვრობს, ხოლო აფხაზეთიდან დევნილთა უმრავლესობა თბილისსა და სამეგრელო-ზემო სვანეთშია განსახლებული.

აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განაწილება განსახლების ტიპის და რეგიონის მიხედვით 2018 წელს

აფხაზეთი: კერძო **142,350 (45%)** კომპაქტური **118,069 (55%)**
ცხინვალი: კერძო **7,373 (27%)** კომპაქტური **19,535 (73%)**



წყარო: **შრომის სამინისტრო**

ეკოლოგიური მიგრანტები

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში ყველაზე მეტი ეკომიგრანტი 2017 წელს დარეგისტრირდა. ყოველწლიურად განსახლებული ეკომიგრანტების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება დარეგისტრირებულთა წლიურ რაოდენობას.

დარეგისტრირებულ და განსახლებულ ეკომიგრანტთა რაოდენობა წლების მიხედვით [39]

	2015	2016	2017	2018
რეგისტრირებული	826	897	1,068	605
განსახლებული	140	484	290	338

წყარო: **შრომის სამინისტრო**

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ყველაზე მეტი ეკომიგრანტი აჭარაში, გურიაში, იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში დარეგისტრირდა. ხოლო ყველაზე მეტი ეკომიგრანტი აჭარაში, ქვემო ქართლში, კახეთსა და გურიაში განსახლდა.

2015-2018 წლებში დარეგისტრირებულ და განსახლებულ ეკომიგრანტთა რაოდენობა რეგისტრაციის და განსახლების რეგიონის მიხედვით



წყარო: **შრომის სამინისტრო**

[39] 2016 და 2017 წლებში ახალ ბაზაზე გადასვლის გამო მოხდა ეკომიგრანტების ხელახლა დარეგისტრირება, რითიც აიხსნება 2018 წელთან შედარებით 2016 და 2017 წლებში დარეგისტრირებულთა სიმრავლე.

მიგრაცია სოფლიდან ქალაქში და ქალაქიდან სოფელში

საქსტატის მონაცემების მიხედვით, საქართველოში, სასოფლო ტიპის დასახლებებში, მოსახლეობა ყოველწლიურად მცირდება, რაც ზოგადად ქალაქი/სოფლის სტრუქტურაზეც აისახება. ბოლო 4 წლის მონაცემებით, ქალაქის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 57.7%-დან 58.7%-მდე გაიზარდა.

მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო 4 წელში 3.4%-ით გაიზარდა თბილისში, ხოლო 2.6%-ით აჭარაში. ორივე რეგიონში ზრდა საქალაქო დასახლებების ზრდის ხარჯზე მოხდა. მოსახლეობის რიცხოვნობა განსაკუთრებით შემცირდა რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის (5.7%), იმერეთის (5%) და სამეგრელო-ზემო სვანეთის (3.7%) რეგიონებში. ამასთან, მოსახლეობის შემცირება ამ რეგიონების სასოფლო დასახლებებში მნიშვნელოვნად აღემატება იმავე რეგიონების საქალაქო დასახლებებში კლების მაჩვენებელებს.

მოსახლეობის რიცხოვნობა (ყოველი წლის 1 იანვრისთვის) ქალაქის და სოფლის ტიპის დასახლებებში რეგიონების მიხედვით (ათასი კაცი)

რეგიონი	**საქალაქო დასახლება**				**სასოფლო დასახლება**				**სულ**			
	2016	2017	2018	2019	2016	2017	2018	2019	2016	2017	2018	2019
საქართველო	2,151.5	2,161.9	2,174.8	2,184.3	1,577.1	1,564.5	1,554.8	1,539.1	3,728.6	3,726.4	3,729.6	3,723.5
თბილისი	1,101.7	1,115.1	1,128.4	1,140.7	30.2	30.4	30.3	30.4	1,132.0	1,145.5	1,158.7	1,171.1
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	190.1	192.6	195.2	197.7	150.0	150.4	151.1	151.4	340.2	343.0	346.3	349.0
გურია	31.9	31.8	31.6	31.4	80.5	79.7	78.9	78.0	112.4	111.5	110.5	109.4
იმერეთი	255.0	250.8	247.8	244.9	268.7	263.6	259.2	252.5	523.7	514.4	507.0	497.4
კახეთი	71.9	71.6	71.4	71.0	245.9	244.3	243.3	241.5	317.8	315.9	314.7	312.5
მცხეთა-მთიანეთი	21.6	21.7	21.9	22.1	72.5	72.2	72.0	71.6	94.1	93.9	93.9	93.6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	7.0	7.0	6.9	6.8	24.5	23.8	23.3	22.9	31.5	30.8	30.2	29.7
სამეგრელო - ზემო სვანეთი	129.3	127.7	126.5	125.0	199.1	196.5	194.3	191.2	328.4	324.2	320.8	316.2
სამცხე-ჯავახეთი	55.0	55.0	55.0	54.4	103.7	102.2	100.9	99.8	158.7	157.2	155.9	154.1
ქვემო ქართლი	183.6	185.1	187.1	188.4	244.4	244.5	245.1	244.7	428.0	429.7	432.3	433.2
შიდა ქართლი	104.2	103.5	102.9	101.9	157.6	157.0	156.4	155.4	261.9	260.4	259.3	257.3

წყარო: **საქსტატი**

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ 2019 წლის ანგარიშის მიხედვით[40], საქართველოს ძალისხმევა სრულად შეესაბამება ტრეფიკინგის აღმოფხვრის მინიმალურ სტანდარტებს. სახელმწიფოთა პროფილის მიხედვით, საქართველო წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წარმოშობის, ტრანზიტის და დანიშნულების ქვეყანას. ბოლო 4 წლის განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის, პრევენციის და მსხვერპლთა დაცვის კუთხით, რის შედეგადაც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ 2016 წლის ანგარიშში ქვეყანამ მეორე კალათიდან პირველში გადაინაცვლა და შეფასების უმაღლეს ნიშნულს - პირველ კალათას ინარჩუნებს 2019 წელსაც.

ბოლო წლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სტატისტიკა რაოდენობრივი კუთხით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

2015-2018 წლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სტატისტიკა საქმის სტატუსის მიხედვით

	2015	2016	2017	2018
გამოძიება	18	20	21	21
სისხლისსამართლებრივი დევნა	5	1	4	7
სასამართლოში გაგზავნილი საქმე	3	0	4	5
გამამტყუნებელი განაჩენი (საქმეების რაოდენობა)	3	2	2	4
მსჯავრდებულთა რაოდენობა	3	4	2	6

წყარო: ტრეფიკინგის საბჭოს სამდივნო

ბოლო ოთხი წლის მონაცემებით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი და დაზარალებული პირები, ძირითადად, საქართველოს და უზბეკეთის მოქალაქეები არიან. ტრეფიკინგის დანაშაულის ყველაზე გავრცელებული ფორმა კი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით განხორციელებული ტრეფიკინგია.

2015-2018 წლებში ჯამში იდენტიფიცირებულ იქნა ტრეფიკინგის 37 მსხვერპლი/დაზარალებული.

[40] https://www.state.gov/reports/2019-trafficking-in-persons-report-2/georgia/ ნანახია: 26.07.2019

2015-2018 წლებში მინიჭებული ტრეფიკინგის მსხვერპლის და დაზარალებულის სტატუსების რაოდენობა მოქალაქეობის მიხედვით

	საქართველო	უზბეკეთი	უკრაინა
დაზარალებული	12	11	2
მსხვერპლი	10	5	

წყარო: **ტრეფიკინგის საბჭოს სამდივნო**

2015-2018 წლებში მინიჭებული ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა სტატუსების რაოდენობა ტრეფიკინგის დანაშაულის ტიპის მიხედვით

	შრომითი	სექსუალური	ყიდვა-გაყიდვა
დაზარალებული	5	17	3
მსხვერპლი	8	7	

წყარო: **ტრეფიკინგის საბჭოს სამდივნო**

შენიშვნა: შრომით ტრეფიკინგში გაერთიანებულია იძულებითი მათხოვრობის 2 შემთხვევა.

ტრეფიკინგის ზემოხსენებული შემთხვევები, ძირითადად, განხორციელდა საქართველოში, თუმცა შრომითი ტრეფიკინგის რამდენიმე შემთხვევა თურქეთსა და ერაყშიც ფიქსირდება.

საერთაშორისო ორგანიზაციამ „Walk Free Foundation“, რომელიც ყოველწლიურად მონობის გლობალურ ინდექსს (Global Slavery Index) ზომავს, 2019 წლის ანგარიშში - „გაზომვა, ქმედება, თავისუფლება“ (Measurement, Action, Freedom)[41] - საქართველოს 183 ქვეყანას შორის მე-18 ადგილი მიაკუთვნა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველო, როგორც დაბალი მშპ-ს მქონე ქვეყანა, გამოირჩევა ტრეფიკინგის წინააღმდეგ გატარებული ეფექტიანი ქმედებებით და რეგიონში პირველ ადგილს იკავებს.

[41] https://cdn.globalslaveryindex.org/2019-content/uploads/2019/07/17123602/walk.free_.MAF_190717_FNL_DIGITAL-P.pdf ნანახია: 26.07.2019

მიგრაციის მართვა

მიგრაციის პოლიტიკის ჩარჩო

ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია მიგრაციის მართვის მექანიზმების განვითარების კუთხით, რაც ეროვნულ დონეზე სფეროს თანმიმდევრული პოლიტიკის შექმნაში გამოიხატება. აღნიშნული მნიშვნელოვანწილად განაპირობა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულმა დავალებებმა, საქართველოს მიგრაციის სტრატეგიების (2013-15 და 2016-20 წწ.) ფარგლებში წარმოებულმა საქმიანობამ და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ამოცანების თანმიმდევრულმა შესრულებამ. ამასთან, მართვის სისტემის ეფექტიანობის უფრო მეტად გაზრდისა და მდგრადი განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც ხსენებული გეგმის გრძელვადიანი ამოცანების შესრულებას, ასევე უვიზო მიმოსვლის კუთხით არსებულ გამოწვევებზე კარგად გაანალიზებულ, სწორ და დროულ რეაგირებას.

სტრატეგიული დაგეგმვა

1997 წლის მიგრაციის პოლიტიკის კონცეფციისა და 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგიის კვალდაკვალ საქართველომ 2015 წელს შეიმუშავა და დაამტკიცა მიგრაციის პოლიტიკის განმსაზღვრელი რიგით მესამე დოკუმენტი - 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია[42]. წინამორბედი დოკუმენტებისგან განსხვავებით, იგი მიგრაციის სფეროში პოლიტიკის დაგეგმვის თვალსაზრისით თვისებრივად სრულიად ახლებური დოკუმენტია, რომელიც ითვალისწინებს მომიჯნავე სფეროების სექტორულ სტრატეგიებსა და პოლიტიკის განმსაზღვრელ სხვა აქტებს და დიდწილად ასახავს ამავე წელს ევროკავშირის მიერ შემუშავებულ „ევროპის მიგრაციის დღის წესრიგის“ დებულებებს და მიგრაციასთან დაკავშირებულ გაეროს მდგრადი განვითარების თემატურ მიზნებს. მასში ასევე გაერთიანებულია მიგრაციასთან დაკავშირებული ყველა იმ საერთაშორისო პროცესის ფარგლებში მიღებული ცოდნა, რომელშიც საქართველო აქტიურადაა ჩართული. სტრატეგიასთან ერთად მიღებულ იქნა შესაბამისი სამოქმედო გეგმები[43] და მათი შესრულების ინდიკატორები, რომელთა საფუძველზეც რეგულარულად ფასდება მიღწეული შედეგები. მიმდინარე სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მისი მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები. მსსკ-ის სამდივნოს მიერ 2016 წელს შეიქმნა სამოქმედო გეგმის *მონიტორინგისა და ანგარიშგების ელექტრონული სისტემა* (ელ.პორტალი), რომლის მეშვეობითაც სტრატეგიის განმახორციელებელი უწყებები ონლაინ პლატფორმაზე აწარმოებენ ანგარიშგებას, ხოლო სამდივნო პერმანენტულად აკვირდება აქტივობების შესრულების პროგრესს, მითითებული ვადებისა და ინდიკატორების შესაბამისად. ხსენებულმა სისტემამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სხვა დარგობრივ უწყებებსა თუ მათ ქოლგა ორგანიზაციებში წარმოებული მონიტორინგის მექანიზმების დახვეწაზე და მის ბაზაზე ანალოგიური/მსგავსი კომპლექსური სისტემები შეიქმნა.

სტრატეგიის ფარგლებში მიღწეული შედეგების სიღრმისეული ანალიზისა და არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, 2019 წელს დაიწყო მუშაობა 2021-2030 წლების მიგრაციის ახალი სტრატეგიის კონცეფციაზე/ხედვაზე, რომელმაც მიმდინარე სტრატეგიის გამოცდილებაზე, ასევე კვლევებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა განსაზღვროს ქვეყნის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები მომავალი 10 წლისთვის.

[42] საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 დეკემბრის №622 დადგენილება „საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ http://migration.commission.ge/files/ms_matsne_geo_06.08.18.pdf ნანახია: 26.07.2019

[43] საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა. http://migration.commission.ge/index.php?article_id=216&clang=0 ნანახია: 26.07.2019

საზღვრის ინტეგრირებული მართვა

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ინტეგრირებული მართვის პრინციპები ეფუძნება ევროპულ მოდელს და მისი მიზანია აღნიშნულ პროცესში მონაწილე ყველა შესაბამისი უწყების საქმიანობის კოორდინაცია და თანამშრომლობა, როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ბოლო წლებში ევროკავშირის სტანდარტებთან უფრო დაახლოების მიზნით სახელმწიფო საზღვრის ინტეგრირებული მართვის სფეროში საქართველოს მთავრობის მიერ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, რაც გულისხმობდა საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს ჰარმონიზებას. შესაბამისად, განახლდა ინფრასტრუქტურა, დაინერგა თანამედროვე ტექნოლოგიები და განვითარდა ადამიანური რესურსები. მათ შორის სასაზღვრო პოლიციაში შეიქმნა კინოლოგიური სამმართველო; საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის გარკვეულ მონაკვეთებზე მოეწყო ელექტრონული დაკვირვების სისტემა (BOMS); დაინერგა საზღვაო მონიტორინგის ახალი სისტემა „SEAVISION"; სასაზღვრო ქვედანაყოფები აღიჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით, საზღვრის კონტროლისათვის აუცილებელი სპეცაღჭურვილობით, სატრანსპორტო/მცურავი და ტექნიკური საშუალებებით, აქტიურად მიმდინარეობს სასაზღვრო ინფრასტრუქტურის სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა და დოკუმენტების უსაფრთხოება

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელია უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ასევე მის პრევენციასა და აღკვეთაზე. აღნიშნული მიმართულებით სამინისტროში პასუხისმგებლობები გადანაწილებულია სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულზე. შინაგან საქმეთა სამინისტროში 2014 წლიდან ფუნქციონირებს მიგრაციის დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ტერიტორიაზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა აღმოჩენასა და ქვეყნიდან გაძევების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას. ამასთან, მიგრაციის დეპარტამენტის ფარგლებში შეიქმნა კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა დროებითი განთავსების ცენტრი, რომელიც გათვლილია 92 პირზე.

უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ეფექტიანი შიდაუწყებრივი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, შსს-ში შეიქმნა უკანონო მიგრაციის წინააღდეგ ბრძოლის საკოორდინაციო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის ამოცანაა მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრა და მიგრაციული პროცესების მართვის სისტემის გაუმჯობესება.

ქვეყანამ სწრაფ პროგრესს მიაღწია დოკუმენტების უსაფრთხოების მიმართულებითაც. 2010 წლიდან საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, აიღონ ე.წ. მეორე თაობის, ხოლო 2016-დან მე-3 თაობის ბიომეტრიული პასპორტები - მაღალტექნოლოგიური და გაყალბებისგან დაცული სამგზავრო დოკუმენტი. სათანადოდ, მუდმივად ხდება პასპორტების სრულყოფა და უფრო ძლიერი დაცვის მექანიზმებით აღჭურვა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა საქართველოს მიერ გაცემული დოკუმენტების სანდოობის ხარისხი. 2020 წლიდან იგეგმება უფრო გაძლიერებული პარამეტრების მქონე ბიომეტრიული პასპორტების გამოშვება, პოლიკარბონატის მონაცემთა გვერდითა (Data Page) და გაძლიერებული ინტეგრირებული ელექტრონული მატარებლით (ე.წ. ჩიპი). დოკუმენტის ელექტრონული პროფილი სრულ შესაბამისობაში იქნება ევროკომისიის 2018 წლის 30 ნოემბრის № C(2018) 7774 გადაწყვეტილებასთან. 2011 წლიდან ქვეყანაში ასევე გაიცემა ელექტრონული პირადობის და ბინადრობის მოწმობები.

დაბრუნება და რეადმისია

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმება ძალაშია 2011 წლის 1 მარტიდან. ევროკავშირის ქვეყნების გარდა, რეადმისიის ხელშეკრულებები საქართველოს გაფორმებული აქვს უკრაინასთან, შვეიცარიასთან, ნორვეგიასთან, დანიასთან, მოლდოვასთან, ბელარუსთან და ისლანდიასთან. მოლაპარაკებები მიმდინარეობს ბოსნია და ჰერცეგოვინასთან, სერბეთთან, მონტენეგროსთან, შრი-ლანკასთან, ყაზახეთთან, აზერბაიჯანთან და პაკისტანთან. ევროკავშირსა და საქართველოს შორის რეადმისიის შესახებ შეთანხმების ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნით, 2013 წელს შეიქმნა რეადმისიის განაცხადების მართვის ელექტრონული სისტემა (Readmission Case Management Electronic System), რომლის მეშვეობითაც ხდება ევროკავშირის ქვეყნებიდან რეადმისიის განაცხადების მიღება და დამუშავება. 2019 წლის მდგომარეობით, სისტემაში ჩართულია ევროპის 19 ქვეყანა[44]. ხსენებული სისტემის ეფექტიანობის გათვალისწინებით, მისი რეპლიკაცია და დანერგვა ხდება/იგეგმება სხვა ქვეყნების მიერაც.

დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია და უცხოელთა ინტეგრაცია

დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. სწორედ ამიტომ 2015 წლიდან სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობისთვის სახელმწიფომ დაიწყო შესაბამისი თანხების სისტემატურად გამოყოფა ბიუჯეტიდან. 2019 წლისთვის პროგრამის ბიუჯეტი 650,000 ლარს შეადგენდა. საქართველოს მთავრობაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, 2018 წლის მეორე ნახევრიდან დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობისა და სახელმწიფო პროგრამის განხორციელების ფუნქცია გადაეცა შრომის სამინისტროს. აღსანიშნავია, რომ პროგრამა დედაქალაქთან ერთად ვრცელდება საქართველოს რეგიონებზეც.

იმავე სტრუქტურული ცვლილებების ფარგლებში სამინისტროს ასევე გადაეცა, საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობის ფუნქცია, ასევე უცხოელთა ინტეგრაციის ცენტრი. აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფო ასევე უზრუნველყოფს პროგრამის რეგულარულ დაფინანსებას ბიუჯეტიდან და ინტეგრაციის ცენტრის ადმინისტრირებას.

განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე, სამინისტროში შეიქმნა (2018 წ.) მიგრაციის საკითხთა სამმართველო, რომელიც პასუხისმგებელია ორივე ზემოაღნიშნული მიმართულებით საქმიანობის წარმართვაზე. ამავდროულად (2018 წ.), მას ასევე გადაეცა მსსკ-ის ფარგლებში მოქმედი ინტეგრაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის ფუნქციაც.

[44] პოლონეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი, საფრანგეთი, ბელგია, რუმინეთი, შვეიცარია, ნიდერლანდები, გერმანია, ავსტრია, ესპანეთი, ლიეტუვა, ლატვია, იტალია, ირლანდია, ჩეხეთი, ფინეთი, სლოვენია და დანია.

საერთაშორისო დაცვის სისტემა

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებები განხორციელდა საერთაშორისო დაცვის სისტემის გასაუმჯობესებლად. საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან კიდევ უფრო დაახლოების მიზნით, 2016 წელს მიღებულ იქნა „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ ახალი კანონი, რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 თებერვლიდან. 2018 წელს განხორციელებული სამთავრობო სტრუქტურული ცვლილებებით, საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე, შეწყვეტაზე, ჩამორთმევასა და გაუქმებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებად განისაზღვრა შინაგან საქმეთა სამინისტრო. შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტის ფარგლებში ფუნქციონირებს თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრი, წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების, სტატუსის დადგენის, ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილებები. ამავდროულად დაიხვეწა თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა შესახებ მონაცემთა ელექტრონული ბაზა და 2017 წლიდან დაიწყო ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისთვის ბიომეტრიული სამგზავრო დოკუმენტების გაცემა.

ლეგალური მიგრაცია

2014 წელს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ახალი კანონით დაინერგა შენგენის სავიზო კოდექსის სისტემის მსგავსი მექანიზმი, კერძოდ, შემოღებულ იქნა ვიზის ახალი კატეგორიები (A, B, C, D და T) და განისაზღვრა ვიზებთან ურთიერთდაკავშირებული ბინადრობის ნებართვების ახალი ტიპები. ამასთან, 2015 წლიდან ამოქმედდა *ელექტრონული ვიზების პორტალი,* რომლის მეშვეობითაც უცხოელებს შეუძლიათ, ინტერნეტის საშუალებით საზღვარგარეთიდან გააკეთონ განაცხადი და ელექტრონულად მიიღონ საქართველოს ვიზა[45]. საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საკონსულო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნა ელექტრონული პორტალი geoconsul.gov.ge[46], სადაც შესაძლებელია ელექტრონული განაცხადის დისტანციურად დარეგისტრირების გზით საკონსულო სერვისების მიღება. ანალოგიური ტიპის მომსახურებაა დანერგილი სსგს-ში, სადაც დაინტერესებულ პირებს სააგენტოს ვებგვერდის[47] საშუალებით შეუძლიათ განაცხადის დისტანციურად გაკეთება მიგრაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სერვისზე.

დროებითი შრომითი (ცირკულარული) ემიგრაციის მოწესრიგების და ხელშეწყობის მიზნით, შრომის სამინისტროში მსსკ-ს ძალისხმევით განხორციელდა აღნიშნული თემის ინსტიტუციონალიზაცია და სამინისტროს ფარგლებში შექმნილ მიგრაციის საკითხთა სამმართველოს დაევალა საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ დროებითი ლეგალური დასაქმების შესაძლებლობებისა და ამ სფეროში სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის განვითარება და შესაბამისი შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების პროექტების მომზადება. მოცემული ეტაპისთვის მიმდინარეობს მუშაობა ხსენებული სტრუქტურული ერთეულის გაძლიერებაზე და თემასთან დაკავშირებულ კომპლექსურ რეფორმებზე. პარალელურად ხდება ევროპის ზოგიერთ ქვეყანასთან (საბერძნეთი, ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, ლიეტუვა, ესპანეთი, პორტუგალია, ესტონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, პორტუგალია და ირლანდია) დროებითი შრომითი მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის განვითარება.

[45] https://www.evisa.gov.ge/GeoVisa/ ნანახია: 26.07.2019

[46] https://geoconsul.gov.ge/ka ნანახია: 26.07.2019

[47] https://sda.gov.ge/?page_id=4118 ნანახია: 26.07.2019

მიგრაციის სტატისტიკა და მონაცემების მართვა

მიგრაციის შესახებ მონაცემების შეგროვების და ანალიზის გაუმჯობესებისთვის მუშაობა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს: 2015 წლიდან საქართველომ დანერგა თვისობრივად ახალი ტიპის ე.წ. საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ახლდება და შუალედებში ივსება მისი თემატური მიმართულებების ბაზაზე შექმნილი მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილებით; ყოველწლიურად მიმდინარეობს მიგრაციის პროფილების მონაცემთა წყაროების გამრავალფეროვნება და მეთოდოლოგიის დახვეწა. მიგრაციის აქტუალურ თემებზე სხვადასხვა მასშტაბის და მეთოდოლოგიის კვლევების ჩატარება და მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის (მეას) განვითარება. ამავდროულად, 2018 წლიდან მსსკ-მ დაიწყო ინფოგრაფიკების წარმოება მიგრაციის პროფილის მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც მომავალში რეგულარულ სახეს მიიღებს. მისი მიზანია საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია და მარტივად აღსაქმელი ფორმით ქვეყნის ძირითადი მიგრაციული ტენდენციების შესახებ მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდება.

მიგრაციის ანალიზის და მართვის პროცესში ადმინისტრაციული მონაცემების რესურსის უფრო ეფექტიანი გამოყენების მიზნით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით და ევროკავშირის თანადაფინანსებით, ე.წ. „Big Data“ ტექნოლოგიის გამოყენებით შეიქმნა მიგრაციის *მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემა* (მეას). მოცემული ეტაპისთვის მეას-ი საშუალებას იძლევა, ერთ ბაზაში გაერთიანდეს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ იმიგრაციის თემაზე შეგროვებული ადმინისტრაციული მონაცემები. ანალიტიკური სისტემის ინფრასტრუქტურა განთავსებულია სსგს-ს ბაზაზე. სისტემის ერთ-ერთი მთავარი პლატფორმაა მიგრაციის პროფილი, სადაც თავსდება თემატური ანალიზის სტატისტიკა და შედეგები. ანალიტიკური სისტემის შექმნის და განვითარების ძირითადი პროექტი 2016-2018 წლებში მიმდინარეობდა. 2019 წლიდან ეტაპობრივად მიმდინარეობს სისტემის რეალურ რეჟიმში გადასვლის პროცესი. 2019 წლის ივნისის მდგომარეობით ანალიტიკური სისტემიდან მომზადებულია 10-ზე მეტი საცდელი ანგარიში. ერთ-ერთი ანგარიში საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მოკლევადიანი (ცირკულარული) მოძრაობის შესახებ წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტში (იხილეთ გვ. 46).

მიგრაციის რისკების ანალიზის სისტემა

მიგრაციული პოლიტიკის ეფექტიანად წარმართვისათვის, მიგრაციულ ნაკადებთან დაკავშირებული მონაცემების გაანალიზების, გამოკვეთილი რისკების შეფასების, მოსალოდნელ პროცესებზე ადეკვატური რეაგირების და პრევენციული ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, მსსკ-ს მიერ 2015 წლის ბოლოს დამტკიცდა *მიგრაციის რისკების ანალიზის სისტემის კონცეფცია.* კონცეფციის მიხედვით, რისკების ანალიზის ეფექტიანი წარმოებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად და მონაცემთა წყაროდ განსაზღვრულია მეას-ი.

კონცეფციის იმპლემენტაციის მიზნით, მსსკ-ის ფარგლებში 2016 წლიდან ფუნქციონირებს მიგრაციის რისკების ანალიზის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის საქმიანობას კოორდინაციას უწევს შსს. სამუშაო ჯგუფის საქმიანობასა და კონცეფციის განხორციელებაში შსს-ს გარდა ჩართულია მსსკ-ის წევრი ოთხი სახელმწიფო უწყება (საგარეო საქმეთა სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური), რომლებიც საკუთარი პროფილური მიმართულებების მიხედვით აწარმოებენ შიდაუწყებრივ რისკების ანალიზს და ეროვნულ დონეზე მიგრაციის სფეროში ერთიანი რისკების ანალიზის წარმოებას უწყობენ ხელს. მიგრაციის რისკების ანალიზის სისტემის კონცეფციიდან გამომდინარე, სამუშაო ჯგუფის ამოცანაა ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიგრაციული პროცესების შეფასების შედეგად, ყოვლისმომცველი მიგრაციის ერთიანი რისკის ანალიზის დოკუმენტის შემუშავება.

საკანონმდებლო ჩარჩო

ბოლო 6 წლის განმავლობაში მიგრაციის მართვის სფეროში მიღებულ იქნა 4 ძირითადი ახალი კანონი:

❶ 2014 წლის ივნისიდან მოქმედებს ორგანული **კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“** [48]. ახალმა კანონმა გაამარტივა საქართველოს მოქალაქეობის დადგენა და ახლებურად დაარეგულირა ნატურალიზაციის პროცედურები. ამასთან, იგი სრულად შეესაბამება „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ“ გაეროს 1961 წლის კონვენციას. 2018 წელს კანონში შეტანილი ცვლილებებით დადგინდა საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების პირობები, რომლებიც სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებისას გამოიყენება. ასევე მკაფიოდ განისაზღვრა საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების კრიტერიუმები, ხოლო ჩვეულებრივი წესით მოქალაქეობის მინიჭებისთვის 10 წლამდე გაიზარდა საქართველოში კანონიერად ცხოვრების ვადა.

❷ 2014 წლის სექტემბერში ძალაში შესულმა საქართველოს ახალმა **კანონმა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“** [49] უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დააწესა საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის ახალი რეგულაციები, შემოიღო ვიზისა და ბინადრობის ნებართვის ახალი კატეგორიები და შექმნა საქართველოში არალეგალურად მყოფ პირთა გაძევების ქმედითი მექანიზმები. კანონის განხორციელებაზე დაკვირვების პროცესში გამოვლინდა რამდენიმე პრობლემური საკითხი, რომლის საფუძველზეც 2015 წელს კანონში შევიდა ცვლილება და ახლებურად დარეგულირდა ვიზისა და ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ცალკეული ნორმები;

❸ 2015 წლის ნოემბრიდან მოქმედი საქართველოს **კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“** [50], უმეტესწილად, არეგულირებს საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა შრომითი ემიგრაციის ნორმებს, კერძოდ, შუამავალი ორგანიზაციების მეშვეობით შრომით ემიგრაციას. კანონში ასევე გათვალისწინებულია შრომით ემიგრანტთა უფლებების დაცვის მექანიზმები. საქართველოს მთავრობის მიერ მოგვიანებით დამტკიცდა შრომითი იმიგრაციის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტიც [51];

❹ საუკეთესო საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, 2016 წელს მიღებულ იქნა **„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ ახალი კანონი** [52], რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 თებერვლიდან. ახალი კანონით განისაზღვრა ისეთი სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც, ერთი მხრივ, მაქსიმალურად იცავს რეალურად საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირთა უფლებებს, უფრო ქმედითს ხდის თავშესაფრის პროცედურებს და გონივრულ ვადებში უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს იმ პირთა მიმართ რეგულაციების გამკაცრებას, რომლებიც ბოროტად სარგებლობენ თავშესაფრის სისტემით საქართველოში.

---

[48] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2342552 ნანახია: 26.07.2019

[49] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2278806 ნანახია: 26.07.2019

[50] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2806732 ნანახია: 26.07.2019

[51] საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 აგვისტოს N417 დადგენილება „შრომითი იმიგრანტის (საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის) ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/2941958 ნანახია: 26.07.2019

[52] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3452780 ნანახია: 26.07.2019

საერთაშორისო მიგრაციის მარეგულირებელი სხვა საკანონმდებლო აქტებია:

- საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ (1993 წ.);
- საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ (1996 წ.);
- საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ (1998 წ.);
- საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ (2006 წ.);
- საქართველოს კანონი „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“ (2011 წ.);
- საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ (2008 წ.);
- საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (2011 წ.).

საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული სტრატეგიული დოკუმენტები და შეთანხმებები ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან სახელმძღვანელო პრინციპებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განვითარდეს მიგრაციის მართვა საქართველოში. ეს დოკუმენტებია: „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (AA/DCFTA)“, „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი“ და „ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ გრძელვადიანი დავალებები. ამავდროულად, უახლესი გლობალური ინიციატივები და რეგიონული თანამშრომლობის ფორმატებიც სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს მიგრაციის მართვის ელემენტების ფორმირებაში.

ინსტიტუციური ჩარჩო

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია (მსსკ) 2010 წელს საქართველოს მთავრობის №314 დადგენილების[53] საფუძველზე შეიქმნა. მართვის კორპორაციულ მეთოდზე დაფუძნებული კომისიის მიზანია მიგრაციის სფეროში საქართველოს მთავრობის ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრა, დანერგვა და მიგრაციული პროცესების კოორდინირებული მართვის გაუმჯობესება. აღნიშნული მიზანი კი მიიღწევა კვლევასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებით და განხორციელებით, მიგრაციის მართვაში მონაწილე უწყებებს შორის კოორდინირებული საქმიანობით, ორმხრივი, რეგიონული თუ გლობალური საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატების გამოყენებით და გამოცდილების გაზიარებით, ასევე სამოქალაქო საზოგადოების და აკადემიის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით. უკანასკნელ წლებში მსსკ-ს საქმიანობა სწორედ ამ მიმართულებებით ვითარდება დინამიკურად.

2012 წელს ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა მსსკ-ს სამდივნო. მისი ფუნქციაა, ხელი შეუწყოს კომისიის ეფექტურ საქმიანობას და უზრუნველყოს იგი მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე საექსპერტო-ანალიტიკური მხარდაჭერით. კომისიის სამდივნო ფუნქციონირებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში.

[53] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1049764 ნანახია: 26.07.2019

მსსკ აერთიანებს მაღალი რანგის წარმომადგენლებს შემდეგი სახელმწიფო უწყებებიდან:

ILUSTRACIA 1. **მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წევრი უწყებები**

კომისიას თავმჯდომარეობს იუსტიციის სამინისტრო, ხოლო თანათავმჯდომარეა შინაგან საქმეთა სამინისტრო.

კომისიაში საკონსულტაციო სტატუსით სარგებლობს 5 საერთაშორისო და 4 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია[54]. არასამთავრობო სექტორის ჩართულობის მიზანია კომისიის დამატებითი ექსპერტული რესურსით მხარდაჭერა და რეგულარული დარგობრივი თანამშრომლობისა და გამოცდილების გაცვლის წახალისება.

მიგრაციასთან დაკავშირებული პრიორიტეტული საკითხების შესასწავლად და კომისიის სხდომებზე განსახილველ გადაწყვეტილებათა პროექტების პროაქტიულ რეჟიმში მოსამზადებლად მსსკ-ს ფარგლებში ჩამოყალიბებულია რამდენიმე თემატური სამუშაო ჯგუფი[55]:

- მიგრაციის ლაბორატორია;
- მიგრაციის რისკების ანალიზის;
- მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის;
- ინტეგრაციის საკითხთა;
- მოქალაქეობის არმქონეობის.

სამუშაო ჯგუფებში სახელმწიფო უწყებებთან ერთად მსსკ-ში საკონსულტაციო სტატუსის მქონე ორგანიზაციებიც არიან წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ მიგრაციის მართვაში ამგვარმა - ე.წ. საერთო სამთავრობო მიდგომაზე დაფუძნებულმა მაღალი კოორდინაციის ხარისხის მქონე სისტემამ სერიოზული მოწონება ჰპოვა საერთაშორისო და განსაკუთრებით ევროკავშირის და მისი წევრი ქვეყნების დონეზე, ხოლო მისი სრული ან სხვადასხვა მოდულარული ნაწილის რეპლიკაცია მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყანაში.

[54] საკონსულტაციო სტატუსის მქონე ორგანიზაციების ჩამონათვალი წარმოდგენილია მსსკ-ს ვებგვერდზე: http://migration.commission.ge/index.php?article_id=59&clang=0 ნანახია: 26.07.2019

[55] სამუშაო ჯგუფების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები წარმოდგენილია მსსკ-ს ვებგვერდზე: http://migration.commission.ge/index.php?article_id=56&clang=0 ნანახია: 26.07.2019